

619
1991

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



თბილისი № 7 1991

ბაროზა

ISSN 0130—1624

2-4

ჯემალ მახრიშვილი, დაარ-
ბული მილიონები.

5-6

გიორგი არბახოვი, ვინ და
როგორ ამზადებდა ლეონიდ
ბრეჟნევის საქართველოში
წარმოსათქმელ სიტყვას.

7


ნაზი ზედი. აკვნის მთლე-
ლები.



შინაარსი:

8-10

ანა რატიანი. „აი, გაბონე-
ბო, ეს განლაპთ საქართვე-
ლო“...



11

ნინო ჯალიუშვილი. მინია-
ტურული წიგნის მოამბე.



● ნაგავსაფარეზზე მილიონებს
შეაბრებენ.

● საჭიროა ათი ქარხანა და... ორ-
მოცი მილიონი.

● შესაძლებელია ქუთაისის საავტომო-
ბილო?


● თბილისის კარგაქაზარში იმს-
ჯალოს.



ემცდარია ის ხელმძღვანელი. დარგის სპეციალისტი თუ რიგითი მოქალაქე. ვისაც უაღრესად დაძაბულ პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე დედაქალაქის სავალალო სანიტარული მდგომარეობა მეორე-მეხუთეხარისხოვან პრობლემად მიაჩნია და მის მოგვარებას მერე აპირებს. „როცა არეული ქვეყანა დაწყნარდება“, დაწინაურებულ ქვეყნებში კონტროლდაუქვემდებარებელი ნაგვიდან მომდინარე საფრთხეს ლამის ბირთვული ომის მოსალოდნელ მასშტაბებს უთანაბრებენ და დასახლებული პუნქტების სანიტარულ-კომუნალური პრობლემების მოსაწყვსრიგებლად არ იშურებენ სახსრებს, ინტელექტს, ენერჯიას, ტექნოლოგიებს... მთელი მსოფლიო შემოიარა ქალაქ შტუტგარტის (გერმანია) ობერბურგომისტრის მანფრედ რომელის ფრთიანმა ფრაზამ: „ქალაქის სანიტარულ-კომუნალური სფერო, რა თქმა უნდა, არ არის ყველაფერი. მაგრამ უიმისოდ ყველაფერი არაფერია!“

დღესდღეობით მკვრივი სახის ნაგვის მოშორების სამი ხერხი არსებობს: ჩამარხვა, დაწვა და უტილიზაცია. ახლო წარსულში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძირითადად პირველ ორ საშუალებას მიმართავდნენ. მაგრამ მწარე სინამდვილემ ცხადყო, რომ ნაგავსაყარი პოლიგონები მეტისმეტად ვრცელ ფართობებს იკავებენ, თან მალეც ივსებიან და, რაც მთავარია, არ არის გამოირიცხული დროთა ვითარებაში ისინი ინფექციურ დაავადებათა და რადიოაქტიურ გამოსხივებათა კერებად იქცევენ. ხოლო ნაგვის სისტემატური წვა კატასტროფულად აჭუჭყიანებს გარემოს.

ნაგვის უტილიზაცია პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ოღონდ ამისთვის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბაზის გარდა, აუცილებელია მოსახლეობის ელემენტარული შეგნება და მონდომება: საოჯახო-სამეურნეო ნაგვის — ლითონის, პლასტმასის, მიწის, ხის, ქაღალდის, საკვები პროდუქტის ნარჩენების და ა. შ. — ცალ-ცალკე დახარისხება.



დაკარგული მილიონები

— ჩვენი კაცი კი ამას რას დაგიღვეს. — გულისტკივილით ამბობს თბილისის სპეცავტომეურნეობათა საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე ბონდო ანდრიაძე, — ექსპერიმენტის სახით ხუთჯან დავდგით რკინის კონტეინერი, რაზეც წარწერით იყო მითითებული — რომელ განყოფილებაში რა სახის ნაგვი უნდა ჩაყრილიყო. მაგრამ თბილისელი თავის ნაგვის ვედროში ხელის ფათურს იკადრებს? მოაპირ-ქვავებს რომელიმე განყოფილებაში და მორჩა! ბევრს კონტეინერამდე თუ სანაგვე ბუნკერამდე მისვლაც კი ეზარება — სადაც მოეხასიათება, იქვე ჰყრის, ანდა, შეიძლება პირდაპირ სართულიდან გადმოისროლოს პარკში შეხვეული ნაგავი! ეეეჰ!..

და მაინც როგორია დედაქალაქის სანიტარული დასუფთავების სურა-

თი? თბილისის საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენები წელიწადში საშუალოდ 3 მილიონ კუბომეტრს შეადგენს. აქედან უმნიშვნელო ნაწილს — 12 პროცენტს ნაგავგადამამუშავებელი და ნაგავსაწვავი ქარხნები ამუშავებენ, დანარჩენი კი ღია პოლიგონებზე (გლდანი, ლილო, იალღუჯი, მუხათგვერდი) იყრება.

ჩეხური პროექტის ნაგავსაწვავი ქარხანა, რომელიც 1979 წელს ამუშავდა, უკვე ამორტიზებულია. იგი ნაგავს მხოლოდ წვავს და შავ ლითონს გამოარჩევს. დასავლეთ ევროპის ანალოგიური ნაგავსაწვავი ქარხნები ცალ-ცალკე ახარისხებენ შავსა და ფერად ლითონებს და, რაც მთავარია, გამოიმუშავებენ თბოენერჯიასა და ელექტროდენს, რითაც მთლიანად უზრუნველყოფენ მიმდებარე მიკრორაიონებსა და კვარტ-

ლებს. ერთ-ერთი იქაური ნაგავსა-
წვავი ქარხანა თვეში 2 მილიონ კი-
ლოვატსაათ ელექტრო ენერჯიას
აწარმოებს!!!

რაც შეეხება გლდანის ნაგავგადა-
მამუშავებელ № 2 სპეცქარხანას, რო-
მელიც მოსკოვეური პროექტითაა ჩა-
დგმული 1983 წელს, ისიც უიმედოდ
მოძველებული და პრიმიტიულია:
ცოტაოდენი შავი ლითონი და ბიო-
თერმული გადამუშავებით ყოველ-
წლიურად მიღებული 100 ათასი ტონა
ორგანული სასუქის კომპოსტი —
აი, მთელი ავლადიდება, რასაც ეს
ქარხანა იძლევა.

19.7.87

ახლა კი ჩამოგივლით იმ ნაწარმს.
თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგი-
ებით აღჭურვილი დასავლეთის
ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები
რომ უშვებენ: შავი, ფერადი და
ძვირფასი ლითონები, მაკულატურა.
მუყაო, ფანერი, ბანელი, პლასტმასი.
ცელოფანი, პოლიეთილენი, კაპრო-
ნი, მინაპლასტიკატი, ბლოკი, აკური.
სასუქი, რეზინი, მარილი, ტექნიკუ-
რი სპირტი, ხრეში, სილა, ცემენტი,
ნახშირი, შიფერი და ა. შ. ეს ყველა-
ფერი ერთად აღებული კი მილიონე-
ბი, მილიარდებია. ერთი სიტყვით.
ტექნიკურად ჩამორჩენილი და გადა-
ღიბებული ქვეყნისთვის ნაგავი ნამ-
დვილ უბედურებასა და თავსატეხს
წარმოადგენს, მოწინავე ქვეყნის-
თვის — სიმდიდრის წყაროს.

— თბილისის ირგვლივ მდებარე
უზარმაზარ სანაგვეებზე ფაქტიურად
მილიონებს ვმარხავთ, — ამბობს დე-
დაქალაქის სპეცავტომეურნეობათა
საწარმოო სამმართველოს უფროსი
კუჭური გუნცაძე, — ეგ კიდევ არა-
ფერი, ჩვენ პირდაპირ დანაშაულს
ჩავდივართ ერის წინაშე: ნაგავსაყარ
პოლიგონებზე მიმდინარეობს ფარუ-
ლი წვია, ნამდვილი ქიმიური რეაქცი-
ები და არ არის გამორიცხული, რომ
თბილისის ირგვლივ მდებარე ეს
ოთხი გრანდიოზული ნაგავსაყარი
ჩერნობილის მსგავს საშინელებად
მოველინოს რომელიმე თაობას.

— რა არის საჭირო იმისათვის,
რომ დედაქალაქის ყველა სახის ნა-
გავი და ნარჩენები ინდუსტრიულ
წესით დამუშავდეს?

— ამისთვის საჭიროა ათი ახალი
თანამედროვე ტექნოლოგიური ცაქ-
ლის მქონე ნაგავსაწვავი და ნაგავ-
გადამამუშავებელი ქარხანა.

— მერე, რა დაქდება მათი მშე-
ნებლობა?

— ორმოცი მილიონი მანეთი.

— გვაქვს სამაგისო თანხები?

— არა, საიდან?! ეს ყველაფერი
პერსპექტიული გეგმით ორი ათასი
წლისა და შემდგომი პერიოდისთვის

აა გათვალისწინებული. და მაშინაც
აშენდება თუ არა, ღმერთმა უწყის!
დღესდღეობით კი არავეთარი ახალი
ქარხნის მშენებლობაზე ლაპარაკიც
კი არ შეიძლება — სამაგისო თანხე-
ბი არ არის!!!

— ეს გასაგებია, მაგრამ თუ ათი-
ვე ქარხანას ერთდროულად ვერ შე-
ვწყვდებით, ნუთუ იმდენი მაინც არ
შეგვიძლია, თანდათანობით ავიშე-
ნოთ თითო-თითო ქარხანა?

— ახალი კი არა, აგერ, გლდანის
ნაგავგადამამუშავებელი № 2 სპეც-
ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართო-
ება, რომლის პროექტი სამი წელია
მზადდებოდა, სახსრების უქონლო-
ბის გამო წელს დაკონსერვდა. არა-
და, მისი წარმატებით დამთავრების
შემთხვევაში ქარხანა წელიწადში
200 ათასის ნაცვლად 600 ათას კუ-
ბომეტრ ნაგავს გადამამუშავებდა. მის
რეკონსტრუქცია-გაფართოებას 5 მი-
ლიონ 400 ათასი მანეთი სჭირდებო-
და. შარშან 100 ათასი მანეთის ვერ-
ტიკალური დაგეგმარება ანუ მიწის
სამუშაოები შევასრულეთ და გავი-
ყინეთ — თანხები არ არის!

— ამ ორი — ნაგავსაწვავი და ნა-
გავგადამამუშავებელი ქარხნის შე-
მოსავლით ნუთუ არაფრის გაკეთე-
ბა შეიძლება?

მოსაუბრეს მწარედ ჩაეცინა.

— აბა, რანაირად?! მათი შემოსა-
ვალი, რაც მცირეოდენი შავი ლითო-
ნითა და სასუქის კომპოსტით განი-
საზღვრება, ზღვაში წვეთია! ჩვენ
ხომ სახელმწიფო ბიუჯეტზე ვირიც-
ხებით, მთავრობას კი ჯერხნობით
მეტი სახსრები არ გააჩნია და რა
გინდა რომ ქნა?!

— გამოდის, საშველი არ ყოფილა
და თბილისი სულ ნაგვიანი გვექნება!

— არა, არა, ეგ საიდან მოიტა-
ნეთ — აქ ერთმანეთში ნუ აფურევეთ
სხვადასხვა პრობლემებს! — ხელე-
ბი გასასვსავა სამმართველოს უფ-
როსმა, — საჭირო რაოდენობის ქარ-
ხნების უქონლობის გამო დედაქალა-
ქის ნაგავ-ნარჩენებს ვერ გადავამუ-
შავებთ ინდუსტრიული წესით და
კვლავ მილიონებს ჩავმარხავთ მიწა-
ში, თორემ თბილისის სანიტარულ
დასუფთავებას რამდენადმე ეშველ-
ბა. ასე რომ, აქ ორი რთული, ერთ-
მანეთისაგან დამოუკიდებელი პრობ-
ლემაა გადასაჭრელი: დედაქალაქის
სანიტარული დასუფთავება და დე-
დაქალაქის ყველა სახეობის ნაგავ-
ნარჩენების ინდუსტრიული მეთო-
დით გადამამუშავება.

— მაინც როგორ ფიქრობთ თუ-
დაც ერთი მათგანის გადაწყვეტას?

— ჩვენ სხვებზე უკეთ ვხედავთ,
რომ დედაქალაქი ნაგავში იღრჩობა.
მაგრამ რა ჯქნათ, როცა თავს ზევით

ღონე აღარ არის. — დაღვრე-
მილი განაგრძობს სამმართველოს
უფროსი, — ანდა, რას გავხდებით,
როცა გვაკლია 120 მძლოლი, 350
მეგაჰოვე, ამდენივე მტვირთავი მუ-
შა! მანქანები? 260 ნაგავმზიდი მან-
ქანა გვაკლია და წელს არც ერთი
აღარ მიგვიღია! ჩვენ თუ გვინდა
სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური
დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ, ერთ-
ხელ და სამუდამოდ უნდა დავემშვი-
დობოთ სხვას მოიმედებოთ. საჭი-
როა რეალურად შევაფასოთ სიტუა-
ცია და ჩვენით გავიდეთ ფონს —
აგერ, ქუთაისის საავტომობილო
ქარხანამ მოჰკიდოს ხელი ნაგავმზი-
დი მანქანების წარმოებას.

— შესძლებენ?

— აბა, აქედან მე რა გითხრა?!
შეძლებენ... უნდა შეძლონ — მე-
ტი ჩარა არ არის! კაცო, ის ქვეყნე-
ბი, რომლებსაც გუშინ საბჭოთა
პრობაგანდა ჩამორჩენილად და მათ-
ხოვრებად გვისურათებდა, დღეს
თურმე ბირთვული იარაღის დამზა-
დებას აპირებენ და ჩვენ ყოვლად
მარტივი ნაგავმზიდი მანქანების სე-
რიული წარმოება ვერ უნდა შეე-
ძლოთ?! ისე ამ საკითხით ძალზე და-
ინტერესებულია რესპუბლიკის ხელ-
მძღვანელობა — ქუთაისის საავტო-
მობილო ქარხანას სპეციალური წე-
რილიც გაეგზავნა და ვნახოთ რა გა-
მოვა აქედან, საკითხი შესწავლის
პროცესშია.

საუბარში სამმართველოს მთავა-
რი ინჟინერი ომარ თოფურია ჩაერია.
— ქუთაისის საავტომობილო ქარ-
ხნისთვის ჩვენ სამი ტიპის — მცირე,
საშუალო და დიდი მოცულობის ნა-
გავმზიდი მანქანები დავაპროექტეთ...
თუმცა, თუ ყველაფერი კარგად აეწ-
ყო, შეიძლება ეს საკითხი მათ დაუხ-
მარებლადაც მოვაგვაროთ.

— რანაირად?

— ჯერ კიდევ რამდენიმე წლის
წინ ჩავიფიქრეთ და ახლა უკვე და-
მთავრების ფაზაშია სპეცნაგავმზიდი
მანქანების კაპიტალური შეკეთებისა
და მშენებლობის კომბინატი. აი,
სწორედ მოახლოებული გაჭირვების
ქამს დაგვებადა იდეა: თუკი კომბი-
ნატიმა მანქანა ადგილზე კაპიტალუ-
რად უნდა შეაკეთოს, რატომ არ შე-
იძლება ახალიც ავაწყოთ?! ადგილზე
ყველაფრის დამზადებას შეგვძლებთ,
გარდა მოტორისა, მას კი ხელშეკრუ-
ლების საშუალებით შემოვიტანთ
სხვა რესპუბლიკებიდან, ანდა სა-
ზღვარგარეთიდან...

ვისთანაც უნდა შევხებოდით ქალა-
ქის სანიტარულ პრობლემას, ყველას
გულზე მუწუკივით აზის ჩვენი მო-
ქალაქის გულგრილობა და ზღვარ-
გადასული უპასუხისმგებლობა.

— ჰა, სხვა რაც უნდა დაგვწამონ. რუსთაველის პროსპექტს როგორ მოვაკლებთ მზრუნველობას, — აღელვებით ლაპარაკობს მთაწმინდის რაიონის კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის განყოფილებაში გამგე შალვა თურმანიძე, — აქ დღეში ნაგვის სამაჯირადი დასუფთავება-გატანა ხდება, მაგრამ პროსპექტი პროსპექტს მაინც ვერ დავამსგავსეთ! მოქალაქე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, ურნასთან რომ იდგეს, სიგარეტის კოლოფსა თუ ნამწვავს ურნაში კი არ აგდებს, თითქოს ვილაცის ჯიბრით, სხვაგან ისვრის! მობინადრეს ნაგვის მანქანამ თუ გაასწრო, შეხვეულ პარკს გამოიყოლებს და ისეთ ადგილას დააგდებს, პირდაპირ გაგიუღებინა!!!

— ვერავითარ მხარდაჭერასა და ენთუზიაზმს ვერა ვგრძნობთ მოსახლეობის მხრიდან, — აგრძელებს ამავე რაიონის სპეციალური უფროსი ნოდარ შარვაძე, — ამას წინათ ასეთი ექსპერიმენტის დანერგვა განვიზრახეთ: ქუჩაში დაყრილი ნაგავი ძაღლსა და კატას რომ არ ექეჩა და დასატვირთავდაც იოლი ყოფილიყო, ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლებს ნაგვისთვის განკუთვნილი შავი ცელოფანის გამძლე ხუთ-ხუთი ცალი პარკი დაუფრთხეთ. მერე? მერე დღეს წამლადაც არ გვინახავს ერთი პარკი: ნაგვისთვის არავინ გაიმეტა და საბაზრედ გამოიყენეს, აბა, ასეთი დამოკიდებულებით რას უნდა მივალწიოთ?! თანაც ერთ სულ მოსახლეზე ნაგვის წლიური ნორმა სატარიფო განაკვეთით უდრის 1,2 კუბომეტრს. ამიტომ მომსახურე პერსონალიც, ტექნიკაც, საწვავ-საცხები თუ ინვენტარი ამის მიხედვით განისაზღვრება, მაგრამ, აგერ, მობინადრემ კაპიტალური რემონტი ჩაიტარა და ერთ ღამეს ეზოში, ქუჩაში თუ სანაგვე კამერაში იმდენი სამშენებლო ნარჩენი, ნაგავი და ნალექი დაყარა, რომ ლამის ოცი წლის ნორმა შეასრულა! თანაც მილიონნახევრიან ქალაქში რამდენა ასეთი შემთხვევა იქნება!

შარვაძემ ამოიხრა:

— პირდაპირ გასაკვირია ჩვენი კაცის ფსიქიკა — ბრწყინვალე რემონტისთვის ლამის ნახევარი მილიონი დახარჯა, მაგრამ 40 მანეთი კი ალარ გაიმეტა, რომ ჩვენ დაგვკავშირებოდა, ის ერთი მანქანა ნაგავი წესების დაცვით გაგვეტანა და აქა-იქ ქურდულად არ მიეყარ-მოეყარა!..

ქალაქის სანიტარულ დასუფთავებაში ვერასოდეს მივალწევთ სრულ წარმატებას, თუ არ ამოვლდა და დაიხვეწა ბინათმშენებლობის კულტურა, — შენიშნა მთავარმა ინჟინერმა,

მა, — დღესდღეობით თბილისის მაღლივ საცხოვრებელ კორპუსებში ალირიცხება 7 700 ნაგავშემკრები კამერა და ყოველი მათგანი პროექტის უხეში დარღვევითაა აშენებული.

— კონკრეტულად?

— ამ კამერებს დატანებული უნდა ჰქონდეთ ტრაპი და ყოველი ნაგვის გატანის შემდეგ წყლის თბილი ქავლით საუფლადგულოდ ირეცხებოდეს, რათა მწერებმა და მორღნელებმა არ დაიბუღონ. ანდა, ამ კამერებში უნდა იდგეს კონტეინერი, რომ მივიდეს ჩვენი მანქანა, უცებ შეიგდოს ზურგზე და წაიღოს, ან კიდევ დამონტაჟებული უნდა იყოს ნაგავშემკრებ-სეპარატორი, რათა მასში დაგროვილი ნაგვის მანქანის ძარაზე ჩაცლა მექანიკურად, რალაც ნახევარ წუთში მოხდეს. მაგრამ მსგავსი რამ გინახავთ თბილისში? რა თქმა უნდა, არა! მაშ, რა ხდება ფაქტიურად? კამერა მყაროლი ნაგვით იქმნება და მერე ჩვენი მენაგვე ნიჩბით მთელი საათი-საათნახევარი უნდება ერთი მანქანის დატვირთვას. ეგ კიდევ არაფერი. ზოგიერთ სანაგვე კამერას მუშა ცირკის ჯამბაზივით კიბითაც ძლივს სწვდება, ანდა, პირიქით: სანაგვე სარდაფშია, საიდანაც ნიჩბით ჯერ ზევით, მიწაზე იყრება ნაგავი, მერე კი მანქანაზე. აბა, ამნაირ პირობებში რა ეკონომიასა და შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება ლაპარაკი? რაც ამ ლოჯიების მიშენების ბუშმა იფეთქა, ხომ პირდაპირ სიცოცხლე გავკიმწარდა: ბევრგან ისე დაავიწროვეს სანაგვე კამერასთან მისასვლელ-მისადგომი, რომ მუშას ნიჩბის მოსაქნევი სივრცეც აღარ დაუტოვეს!

მთავარი ინჟინერი წამით ჩაფიქრდა:

— დედაქალაქის მძიმე სანიტარული მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლამ აშკარად მიგვიყვანა ასეთ დასკვნამდე... თანდათან უნდა გაუქმდეს საცხოვრებელ ბინებში არსებული არაპრაქტიკული სანაგვე კამერები, ვინაიდან ისინი ანტისანიტარიის საშიშ კერებს წარმოადგენენ. ეს კიდევ არ არის მთავარი: მათი ქიმიური დამუშავებისას აორთქლების შედეგად პაერში ბლომად ხვდება მომწამლავი ნივთიერებები, რაც ძალზე მავნე გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ერთი სიტყვით, უარს ვამბობთ ბინებში დატანებულ სანაგვე კამერებზე და თანდათან გადავდივართ ნაგვის კონტეინური გატანის სისტემაზე. მაგალითად, გლდანის სამი მიკრორაიონი უკვე გადასულია დასუფთავების ამ მეთოდზე. მართალია, მობინადრეებს სართულებიდან ეზოში უხდებათ ნაგვის

ჩამოტანა, მაგრამ უკმაყოფილო მანინც არავინაა: მათ აღარ აწუხებთ დაგროვილი ნაგვის სიმყარაღე, ნაირგვარი მწერ-მორღნელები, მსამქიმიკატები, აღარ ეჭედებათ სანაგვე მილი და სხვა. ქალაქის სანიტარული მდგომარეობა საგრძნობლად რომ გამოსწორდეს, საჭიროა მის ტერიტორიაზე დაახლოებით 7 ათასი ასეთი კონტეინერი, რომელთა დადგმაც ერთი ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვინაიდან საჭიროა დეფიციტური ლითონკონსტრუქციები — თითო ასეთ კონტეინერს 150 კილოგრამი ლითონი უნდა...

თბილისის სანიტარული იერსახე რომ მოწესრიგდეს, სხვადასხვა აუცილებელ ღონისძიებათა გარდა საჭიროა თვით დასუფთავების სამსახურის სისტემაში სრული წესრიგინობა დამყარდეს.

ნაგავსაწვავი და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების და ათი რაიონული სპეციალური უფროსის პარალელურად დედაქალაქის სანიტარულ დასუფთავებაში დამოუკიდებლად ცოდვილობენ (სწორედ რომ ცოდვილობენ!) რაიონების საბინაო ტრესტები, კერძო და კოლექტიური სახლმმართველობები, სანიტარული სამსახურები, წარმოება-დაწესებულებათა დირექციები და მრავალი სხვა. აი, ასეთი სისტემისას ერთმანეთში ისეა აღრეული მათი უფლება-მოვალეობანი, ფინანსები, კოორდინაცია, ინფორმაცია, რომ თვით ეშმაკიც ვერ გაერკვევა ხეირინად — დედაქალაქის სისუფთავეზე ვინ არის უპირველესი და უმთავრესი პასუხისმგებელი, ვინ დამკვეთი და ვინ შემსრულებელი, ვინ მოსარჩლე, ვინ — მოპასუხე, ვინ მტყუანი, ვინ — მართალი... სწორედ ასეთი ქაოსი გახდა იმის მიზეზი, რომ ქალაქის პრეფექტურამ წელს მისში სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე და მოხდა სრული ცენტრალიზაცია — ყველაფერი ისევ პრეფექტურასთან (აღრე ქალაქის საბჭოსთან) არსებულ სპეციალური უფროსისა და მისი მდიანის ხელის ქვეშაა. მათი უფლებამოსილებაა — ყველაფერი ისევ პრეფექტურასთან (აღრე ქალაქის საბჭოსთან) არსებულ სპეციალური უფროსისა და მისი მდიანის ხელის ქვეშაა.

როდის და რანაირ ნაყოფს გამოიღებს ეს სიახლე, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ისე კი ყველას უნდა გვახსოვდეს ერთი ძველი ქეშმარიტება: დედაქალაქის სანიტარული ღაზათი თითოეული ჩვენთაგანის საზრუნავია.

რას იტყვის ხალხი?

306 და რუმორ ამზადებდა
ლეონიდ ბრეჟნევის
საპარტოვლოში
წარმოსათქმელ სიტყვას



გიორგი არგათოვი

ლეონიდ ბრეჟნევი: ვახსენო
თუ არა სტალინი საქართვე-
ლოში

● ბრეჟნევი, როცა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, არც თუ იოლად ეჩვეოდა თავის ახალ პასუხისმგებლობას, მას უჭირდა იმის გაგება, თუ რა უზარმაზარი ტვირთი დააწვა მხრებზე, და თუმცა, ძალზე მოსწონდა ესოდენ მაღალი მდგომარეობა, თავდაპირველად იყო გაუბედაობაც, სიფრთხილაც და იმის შიშიც, რომ არ შემცდარიყო. ცხადია, მას სერიოზულად ამძიმებდა ძველი, უკმარი ინტელექტუალური ტვირთი, ბევრ რამეზე პროვინციალური შეხედულებანი, ვიწრო, მემჩანური, ობივატელური გონების არე (ყოველივე ამან, შემდგომში ძალზე ცუდი როლი შეასრულა). თვითდაჯერება მოგვიანებით მოვიდა და არც თუ მლიქვნელების დახმარების გარეშე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, სტალინური დროიდან, მართვის ნებისმიერ დონეზე, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყველაზე დიდ საშიშროებად გადაიქცნენ.

ოქტომბრის სპლენდუმის შემდეგ, პირველი ორი-სამი წელი, ბრეჟნევს ჯერ კიდევ სჭეროდა თავისი ადრინდელი მრჩევლებისა, მაგრამ უკვე ესმოდა ისიც, რომ აღარ შეიძლებოდა დაყრდნობოდა მართოდენ მათ და რადიკალურად უნდა გაეფართოებია ინფორმაციის არე, რათა გაცნობოდა დიდი რაოდენობის სულ სხვადასხვა სტადიანების (ამასთან, განსხვავებული აზრის) შეხედულებებს. მაშინ ბრეჟნევს მართლაც ბევრი რამ აინტერესებდა და ხალისით ისმენდა, რასაც ეუბნებოდნენ (კითხვა მას არ უყვარდა, წერილობით ტექსტს უარესად ითვისებდა, ვიდრე ზეპირს, ამიტომაც ითხოვდა, რომ წამამალა წაეკითხათ მის სახელზე მიღებული ბარათები) და — სიმღერიდან სიტყვას ვერ ამოაგდებ — ზოგიერთ რამეს ითვისებდა კიდევ: თუმცა აქ, საინტერესო კანონზომიერებას ვხედავთ: ითვისებდა იმას, რაც იმ სფეროებს განეკუთვნებოდა, რომლებშიც იგი თავს ხამად თვლიდა. — საგარეო პოლიტიკაში.



გარკვეულწილად კულტურის საკითხებში, იდეოლოგიასა და მარქსისტულ თეორიაშიც კი. სამაგიეროდ, დარწმუნებული იყო, რომ შესანიშნავად იცის სოფლის მეურნეობა და საერთოდ პრაქტიკული ეკონომიკა, აგრეთვე სამხედრო საქმე, და ძალზე კარგად ერკვევა ადამიანებში, კადრებში. პარტიული მუშაობის ოსტატია. ყველა ამ თემაზე, როგორც მე შევამჩნიე, მასთან ლაპარაკი, მისი გადაჭრების ყოველგვარი ცდა, თითქმის უაზრობა იყო.

ყოველ შემთხვევაში, აღაშინებდა მნიშვნელოვანი როდენობის საერთო, თუმცა და ცალკეეული ძალისხმევის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა გენერალურ მდივანზე უმთავრესად მებრძოლი სტალინელების გავლენის შესუსტება, როგორც პოლიტიბუროს ცალკეული წევრების, ასევე ტლანქი თეორეტიკოსებიდან შემდგარი ამაღლის მხრიდან.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე ჭიდილი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, გაჩაღდა სიტყვის ტექსტის ირგვლივ, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა თავის ახალ ხარისხში საქართველოში პირველი ჩასვლის დროს 1966 წლის ნოემბრის დასაწყისში (რა თქმა უნდა, რესპუბლიკისათვის ორდენის გადასაცემად). სიტყვის თავდაპირველი ვარიანტი ტრაპეზნიკოვისა და გოლიკოვის, აგრეთვე მათი ქართველი მეგობრების ხელმძღვანელობით მომზადდა. იგი წარმოადგენდა განდიდების სავსებით უსინდისო ცდას, რათა სტალინი კვლავ დიდ ბელადად გამოეცხადებინათ. ტექსტის მიღებისთანავე ბრეჟნევი სიტყვა „ექსპერტიზისათვის“ ცუქანოვს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ცუქანოვი იდეოლოგიურ დახვეწილობებში ვერ ერკვეოდა, კარგად მიხვდა, თუ რა აურ-ზაური შეიძლებოდა ასეთ სიტყვას გამოეწვია. ბრეჟნევთან საუბრისათვის, რისთვისაც მას მაინც უნდოდა საკმარისად საფუძვლიანი არგუმენტებით ყოფილიყო შეიარაღებული, ცუქანოვმა მთხოვა, რათა გაშლილი შენიშვნები მიმეცა, მე ეს გავაკეთე. მან იმავე დღეს მითხრა, რომ ხვალ 9 საათზე ბრეჟნევთან ვიყავი მიწვეული.

ამის შესახებ, მე ჩემს უფროსს ანდროპოვს შევატყობინე. მან მით-

ხრა: რას იზამ, რადგან ამ ისტორიაში გაეხვიე, იმოქმედე ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლი. უქმყოფილებმა, აგრეთვე მოწოდება სიფრთხილისაკენ, მე ვერ შევამჩნიე.

როცა დაფიქრდი, გადაწყვიტე, რომ მტკიცებებისათვის ყველაზე ეფექტური საშუალება იქნებოდა არა მოწოდებები პოლიტიკური რიგინობისაკენ (განა შეიძლება სტალინის, როგორც დამნაშავეის, გამოაშკარავების შემდეგ მისი შექება) და აბსტრაქტული მსჯელობები პიროვნების კულტის ზიანისა და მარქსიზმთან შეუსაბამობის გამო, არამედ ზღვრული საგნობრივი არგუმენტები ახალი ლიდერის ასეთი გამოსვლის დამლუპველი პრაქტიკული შედეგების შესახებ თავად მისთვის, პარტიისა და ქვეყნისათვის. პირველი არგუმენტი დაიყვანებოდა იმაზე, რომ ასეთი სიტყვა სერიოზულ გართულებებს გამოიწვევდა რიგ სოციალისტურ ქვეყნებში. ორ ასეთ ქვეყანაში, გაგებდე შემეხსენებინა ბრეჟნევისათვის, ლიდერები გახდნენ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე სტალინმა ციხეში ჩასვა და რომლებიც სასწაულად გადარჩნენ ცოცხლები, — კადარი უნგრეთში და გომულკა პოლონეთში. ახლა რა, ისევ შეგცვალოთ იქ ლიდერები? ამას ხომ აუცილებლად მოინდომებენ ადგალობრივი სტალინელები. ნუთუ ბრეჟნევს სჭირდება ასეთი გართულებები? მეორე არგუმენტი — დასავლეთის კომპარტიების რეაქცია. მათ გაჭირვებით, ხოლო აქა-იქ არცთუ მცირედი დანაკარგებით გადახარშეს XX ყრილობა. რაღა ჰქნან ახლა? და მესამე არგუმენტი — საშინაო. მე არ დამეზარა პარტიის XXII ყრილობის სტენოგრაშიდან ამომეწერა სტალინის საწინააღმდეგო ყველაზე მკვეთრი გამოსვლები ადამიანებისა, რომლებიც ბრეჟნევთან ერთად პოლიტიბუროში შედიან, ცეკა-ს მდივნები (მათ შორის შელეპინი, სუსლოვი, პოდგორნი, მყავანაძე). როგორ გამოჩნდებოდნენ პარტიის ფართო საბჭოთა და საზღვარგარეთელ საზოგადოებრიობის წინაშე ისინი, ვინც ახლახან დაგმო სტალინი, მითხოვა მისი გვამის მავზოლეუმიდან გამოტანა და დალუპულთათვის ძეგლის აგება, ახალი გენერალური მდივნის ასეთი სიტყვის შემდეგ?

როგორ შეხედავენ ხალხს თვალეში? თუ ამხანაგ ბრეჟნევს უნდა მათი საგანგებოდ დისკრედიტირება? თავად ბრეჟნევიც ხომ მონაწილეობდა პარტიის ყველა ყრილობაში, XIX-დან დაწყებული და ამავე ყრილობიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ამით მივედი მე ბრეჟნევთან. ერთადერთი მოულოდნელობა ის იყო რომ, როცა ცუქანოვთან ერთად კაბინეტში შევედით, მივესალმეთ და დაგსხედით, ბრეჟნევი შემოგვთავაზა: „ხომ არ დავუძახოთ ჩვენ კიდევ ანდროპოვს?“ — და მაშინვე გამოუძახა. ასე რომ, მთელი „საშინაო ნამზადი“ მე უკვე ორივეს ერთად გადმოვუღავე: ბრეჟნევს და ანდროპოვს.

იგრძნობოდა, რომ არგუმენტებმა შთაბეჭდილება მოახდინა. ბრეჟნევი სულ უფრო შეფიქრიანებული გამოიყურებოდა. დროდადრო ანდროპოვს მიმართავდა: რას ფიქრობს ის? ანდროპოვმა, ჩემის აზრით, ძალზე მარჯვე ტაქტიკას მიმართა. იგი ყოველთვის დაახლოებით შემდეგს იმეორებდა: რა თქმა უნდა, გიორგი არკადის ძე ცხარობს, რაღაცაში ეგებ აჭარბებს კიდევ; მაგრამ, ასეთი სახის დანახარჯები ალბათ გარდუვალიცაა. და უმატებდა რაღაც თავის, ზოგჯერ ძალზე წონად მოსაზრებებს.

ბოლოსდაბოლოს, ბრეჟნევი ჩვენ სამივეს დაგვაავალა სასწრაფოდ მოგვეზადებინა სიტყვის ახალი ვარიანტი. ვერ ვიტყვი, რომ იგი დრმა-აზროვანი, ახალი იდეებით მდიდარი გამოვიდა. მაგრამ, სტალინის სახელი იქ ნახსენები (მეტის გაკეთება მე უბრალოდ არ შემეძლო) იყო მხოლოდ ერთხელ — საქართველოში რევოლუციური ბრძოლის ორგანიზატორების ჩამონათვალში. სამაგიეროდ, ამავე დროს, ნახსენები იყო XX ყრილობაც. იმ დროისათვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მაშინ სტალინის რეაბილიტაციის სასარგებლოდ ძალზე ძლიერი განწყობილებები იყო, ეს იყო სტალინისა და სტალინიზმის პრობლემების მიმართ აღრინდელი კურსის დადასტურება.



აკვნის მთლალაგი

უ

ემოდგომა რომ მართლაც ნაირფერების დედაა, ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ამას იმერეთში იგრძნობ ოქტომბრის ბოლოს, როცა საპოვნელას თავისი კამკამა მარჯნისფერი უხუნდებდა. ამ დროს მიწის მთელი ბარაქა, მინდვრების მთელი სიუხვე ბაზრებშია გადატანილ-გადანაცვლებული.

ჩვენს ბაზარს არ შველის ეს, მაგრამ ამაში არც შემოდგომაა ბრალეული და არც მიწა. ერთი შეხედვით უცნაური, თანაც მეტად საჭირო საქმე კი, სწორედ მაინც ბაზრიდან უნდა დაიწყო.

— ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ეს აკვანი მაინც რამ გააქრო ამ ბაზარში, — გაკვირვებით წამოიძახა მალალმა, სანდომიანი სახის შუახნის კაცმა.

იმდენი სინანული და გულწრფელობა იგრძნობოდა მის ხმაში, თავის მოყრუება და უბრაოდ გვერდის ავლა არ მოხერხდებოდა. თანაც მეც ამ საქმეზე ვიყავი ჩამოსული. თუმცა მთლად ასე არა! აკვანი კი არ მინდოდა, მეაკვნი კაცს დავეძებდი, ჯერ

კიდევ რომაა აქა-იქ შემორჩენილი და სანთლით თუ მოიძებნება.

— ჭირი მოგვამა, ბიძიკო, აკვანმა. მაგის მკეთებელი ხალხი ახლა უფრო სარფიანი საქმისკენ წავიდნენ-მოვიდა, — შეეპასუხა იქვე, სიმინდით სავსე ტომრებთან მდგომი გლუხაკი.

— აბა, მაი სიმინდი გვიშველის მარტო? მაგის მჭამელს გაზრდა და ფეხის მომაგრება არ უნდა?

— გვინახავს, ბატონო, ძვირფასი მეთავეები, — ლაპარაკში ჩაერთა კობტად, იმერულ ყაიდაზე ჩაცმულ-დახურული ჭარმაგი კაცი. ცოტა შეისვენა და მერე განაგრძო:

— სამტრედიული ბაზარი მარტო ყვითელი, ანაშურ სიმინდზე გაზრდილი ქათმითა და ინდაურით კი არ გამოირჩეოდა, ანდა ჭყინტი ყველითა და სულგუნით, ერბო რომ ჩამოსტირის პირზე. აფსუს, საახალწლო ჩიჩილაკით გაწყობილო აკვნებო?

— თავაძეები მაინც არ გახსოვთ? მამა-შვილი, ჯიმშერ და რომანი.

— რომელ მამა-შვილზე ლაპარაკობთ, ბატონო. უფრო სწორედ, სად არიან ახლა ისინი.

— ოქროსხელიანებს ვეძახით. იმნაირ აკვნებს თლიან და გამოაკოპიტებენ ხოლმე, თამარ მეფეს რომ ეკადრება. ახლა სად არიანო? მუხუხუში გახლავან, ბიძი. იქ გამოაქვთ თავიანთი ნახელავი, გამოფენებს უწყობენ და ქვეყანას აკვირვებენ.

მეც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სიამოვნებით“ მივატოვე განთქმული სამტრედიული ბაზარი, ხორავით სავსე დახლები. სურსათ-სანოვაგე კი ყრია რიყესავით, მაგრამ რად გინდა, რომ იტყვიან, ცეცხლი ეკიდებოთ, სწორედ ამ ბაზარზეა ზედამოჭრილი, თუმცა სად არაა ახლა ცეცხლკიდება.

ასე გაყვევი აკვნის მთლელი მამა-შვილის კვალს და ამნაირად ამოგყავი თავი სამტრედიის სამხატვრო გალერეაში.

ამჯერად უფრო მეტად უმცროსი თავაძით — რომანით დავინტერესდები, და რატომ, მკითხველი ამას წერილის ბოლოში მიხვდება. აქვე იმასაც დავეძენ, რომ მამას, ჯიმშერ თავაძეს, რომელიც ოცდაათ წელიწადია ხის ოსტატის ჭაბანს ეწევა, მთელ იმერეთსა და სამეგრელოში იცნობენ, როგორც საუკეთესო აკვნის მთლელსა და ოსტატს.

— ჩვენი გამოფენის საბატიო სიგელის მფლობელთა შორის მოწონებულისა და მომავალი გამოფენისათვის თბილისში წაიღეს ორი ქართული აკვანი, ორივე მამა-შვილის ნახელავი. რა დასამალოა და, უფრო მეტი მოწონება რომანის ნახელავმა

დაიმსახურა. — თქვა გალერეის დირექტორმა ბადრი კვანტალიანმა.

ბადრის ბოლო სიტყვებმა უფრო გამახარა და მაშინვე წამოვიძახე: „ის ურჩევნია მამულსა“, არა? თანაც ვთხოვე, რომან თავაძეს შემახვედრეთ-მეთქი.

... და აი. მე და ჩემი მასპინძელი მოულოდნელად ვეწვიეთ რომანს.

როცა ჩვენი მისვლის მიზეზ-მიზეზი გაიგო, სახელოსნოს კარი გაგვიღო, შიგ შეგვიძღვა და თავისი ავკარგიცა და ჭირ-ვარამიც გულახდილად გაგვიზიარა ახალგაზრდა ოსტატმა.

რომანი ოცდაათ წელს გადაცილებული კაცია, ორი შვილის მამა განლაგო. ისე, ყველაფერს აჯობებდა თვითონვე ეთქვა ორიოდ სიტყვა:

— ჩვენ, თავაძეები, წარმოშობით სოფელ გომიდან ვართ, ქვემო იმერეთშია ეს სოფელი, მეაკვნეთა კერად იწოდებოდა, მეაკვნეთა აკვანსაც ეძახიან, გარკვეული მდგომარეობის გამო რამდენიმე ოჯახი საცხოვრებლად გადმოვედით სამტრედიის. ფუძის გამოცვლამ ჩვენს გვარს მამა-პაპისეულ ხელობაზე ხელი მაინც ვერ ააღებინა. მე თუმცა სხვა, სრულიად განსხვავებულ სპეციალობას — ელმავლის მემანქანეობას დავეუფლე და კიდევ შევეჩვიე. ეს კია, იმაზე ფიქრი არ მასვენებდა, ჩემი ხელით შექმნილ, თვალსახილველ საგანსა თუ პროდუქტს რომ ვეღარ ვხედავდი. პირდაპირ ჩემი სახლიკაცებისა მშურდა.

ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემს განვეუცხადე, შენი მეორე შვილიშვილი ჩემი ხელით გათლილ აკვანში უნდა გაეზარდო-მეთქი.

მამაჩემის გაკვირვება უნდა გენახათ, უმისოდ გათლილი აკვანი რომ ვაჩვენე. მოეწონა და ცოტა შეშინებულმა მკითხა:

— ბიჭო, რა დროს მოახერხე ეს. ელმავალში გზას უყურებ თუ აკვნებს თლიო?! თავს არაფერი მოუწო, ეტყობა შენი საქმე არაა მეელმავლობაო.

აი მაშინ კი, მამაჩემის ამ სიტყვების მერე, დავანებე საბოლოოდ თავი ელმავალსაც და რკინიგზასაც.

მალე დავრწმუნდი ჩემი ცხოვრების სწორ არჩევანშიც. არც არასოდეს მინანია ეს, ჩემი ბავშვობის-დროისნდელი საქმიანობა მიჩვენია სხვა დანარჩენ ყველა სპეციალობას. იმაშიც გამოგიტყდებით: რამდენ აკვანსაც ვთლი, იმდენჯერ ვნატრობ, ისეთი ყმანი გაიზარდონ შიგ, არა მარტო დამლოცონ, მათი სასახელო კაცობის წყალობით მეც ღირსეულ ოსტატად გამიცნოს ქვეყანამ.

ერთი თვალის გახელა თუ ერთი გამოკვეთა?!

ო. როგორ უხარია პავლეს, რომ განგებამ აირჩია იგი ამ ქვეყნად მოსვლისათვის. იგი დაუცხრომელი ენერჯის ადამიანია..."

ერთ დროს ამბად დადიოდა: თურმე ბ-ნ პავლეს მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრა ჰქონდა დანიშნული მისი ერთი მეცნიერული აღმოჩენის გამო, რომელიც ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში ქართული მუსიკალური ნოტების არსებობას ეხებოდა. თავშეყრილი აკადემიკოსები ძალიან დელავდნენ ამ სენსაციურ ამბავთან დაკავშირებით.

ბ-ნი პავლე დაგვიანებით მისულა, თავისი განსახილველი მასალა მაგიდაზე ამოულაგებია და ფრთხილად გაუშლია. მერე, თითქოს რაღაც იღუშულ ძალას შეუკრავს, ხანგრძლივად მისცემია ფიქრებს. მოულოდნელად ოლიმპიური სიმშვიდით ჩაულაგებია თავისი შრომა პორტფელში. კრებისთვის, შეკრებილთათვის თავაზიანად მოუხდია ბოდიში და სხდომა დაუტოვებია... იქ დამსწრეთაგან, რა მოხდა გერავის გაეგო. უაზრო მითქმამოთქმა გავრცელდა. ამის შემდეგ ბ-ნი პავლეს ნაშრომს კი რა ბედი ეწია, არავინ იცის.

კარგა ხნის შემდეგ ბ-ნი პავლე განარებული შემოვიდა ჩვენთან და ურნალ „ინტენსივს“ (კურირის) ახალი ნომერი მოიტანა, სადაც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული იყო სტატია. სტატია იუწყებოდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში არსებობდა მუსიკალური ნოტები, რაც აკადემიკოსმა პავლე ინგოროსკამ აღმოაჩინაო.

ამ ფაქტით ერთობ განარებულია ბატონმა პავლემ მთხოვა, რომ ტექსტი ქართულად მეთარგმნა.

მეორე დღეს, ისევ მოვიდა ჩვენთან და გულწრფელი მადლობა მითხრა, თანაც დასძინა: „თარგმანი ჩემს არქივში შეინახება“. რა თქმა უნდა, ამან ძალიან გამახარა.

გადიოდა წლები, ბ-ნი პავლე კი ჩვეული ენერჯით შრომობდა. უამრავ პრობლემებს იკვლევდა, მისი ისედაც ვეებერთელა პორტფელი კიდევ უფრო მძიმდებოდა.

1954 წელს წიგნად გამოსცა „გრიგოლ მერჩულეს ცხოვრება“ — დიდი მონოგრაფია, რომელიც ქეთევან ბაქრაძე-ინგოროსკას ნათელ სხოვნას უძღვნა. ლავროსის კი ასეთი წარწერით აჩუქა: „ძვირფას მეგობარს ლავროსი კალაბადაძეს გულითადი პატივისცემით“.

1973 წ. ლავროსი საავადმყოფოში, ე. წ. „ლეჩკომბინატში“ დაავადებით მძიმე ავადმყოფი, დიაგნოზით „პარეზი“ (სისხლის ჩაქცევა). თუმ-

ცა ავადმყოფობამ მის გონებასა და ენას არაფერი ავნო.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმები-საგან მკაცრად გვქონდა აკრძალული, ერთ კვირა დღეს, რატომღაც საკმაოდ ბევრი მნახველი გვესტუმრა საავადმყოფოში. უმეტესად ქმრის ნათესავები. ამ დღეს ბ-ნი პავლეც მობრძანდა.

ავადმყოფს ღიმილით მიესალმა, მერე დაკვირვებით მოავლო თვალი პალატას და გაოცებულმა წარმოთქვა:

— განა შეიძლება ასეთ მძიმე ავადმყოფთან ამდენი მნახველი ერთად მოვიდეს? არ შეიძლება, არა, ავადმყოფის ასე შეწუხება!

ეს თქვა თუ არა პავლემ, უხერხულობაში ჩავარდნილი მნახველები გაკვირვებული. გამომეტყველებით უხმოდ გავიდნენ პალატიდან... როცა ავადმყოფის შეწუხებულ თვალებს შევხედე, ვიგრძენი, რომ ახლა მას ის მზიარული ძმისშვილები ქვეყანას ერჩივნა.

მნახველები გავაცილე და პალატაში რომ დავბრუნდი, დავინახე ბ-ნ პავლეს პორტფელიდან ფურცელ-ფურცელ ამოელაგებინა ნაწერების მთელი დასტა და გულდაგულ გაეშალა იქვე, მეორე საწოლზე... კიდევ კარგი, რომ სადილობის დრომ მოგვისწრო, თორემ ფოლიანტებზე საუბარი, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა.

პავლემ დინჯად ჩაალაგა გაშლილი ფურცლები პორტფელში, დაგვიმშვიდობა და წავიდა. დადი დრო არ იქნებოდა გასული, რომ კვლავ შემობრუნდა.

ლავროსიმ დაკვირვებით ჰკითხა, რა მოხდა პავლე, ხომ არაფერი დაგრჩაო.

— როგორ არა, სახლში აღმოვაჩინე, რომ ერთი ფურცელი შაკლით, — უპასუხა.

ვიფიქრეთ, ალბათ აქ იქნებოდა სადმე და შევუღდექი ძებნას, ვერსად მივაკვლიეთ. ამ ამბით შეწუხებულმა პავლემ დაგვტოვა. ღმერთთა მოწმე, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით.

დრო თანდათან მიდიოდა, მაგრამ საით? ალბათ სიბერისაკენ...

ერთ აღრეულ გაზაფხულზე მზე საამოდ მოსდგომოდა ჩვენი დიდი სახლის ფასადს. უკვე შუადღემ მოაღწია, მოულოდნელად ვიღაცამ კარზე ჩამორეკა, გავაღე კარი და ვხედავ, სერგო კლდიაშვილია. ძალიან გამეხარდა მისი სტუმრობა. ლავროსი რომ ლოგინში ნახა, უსაყვედურა:

— შეე კი კაცო, ავად ხარ თუ? ამ ღვთის დღეს, თუ კარგად ხარ, ლოგინში რა გაჩერებს, ადექი, მზეზე გამოდი.

ლავროსის მეტად გაეხარდა სერგოს დანახვა. ეს სიხარული სახეზეც აღებეჭდა. ცოცხლად წამოდგა ლოგინიდან, რაც მას ნაკლებად ჩვეოდა. გაემზადა და უყოყმანოდ გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ მეც გავედი გარეთ და ვხედავ, ჩვენი დიდი სახლის ბოლოს, მყუდრო კედელს მიყრდნობიან ჩვენი მწერლობის თითქმის უკანასკნელი მოპიკანები: პავლე ინგოროსკვა, პოლიკარპე კაკაბაძე, ალექსანდრე ქუთათელი, სერგო კლდიაშვილი და ლავროსი, რომელიც ამ კრებულში ასაკით ყველაზე უმცროსი იყო.

შორიდან ისე ჩანდა, რომ რალაცაზე გაცხარებით კამათობდნენ, ყველაზე აქტიური მაინც ბ-ნი პავლე იყო. მე უცაბედად დიდი სურვილი გამიჩნდა, რომ ეს უკანასკნელი კრება, როგორმე ფოტოფირზე აღმებეჭდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ესაა მხოლოდ, ჩემს ხსოვნას შემორჩა დიდებული პიროვნებების ეს დიდებული სურათი.

თითოეულ მათგანს, რომ ვიგონებ, ძალზე მწყდება გული. აბა სადღა არის მათი მსგავსნი? მათ მოუსავალში დაიდეს ბინა!!! ახლა, ჩვენი ლამაზი, ქართული სულით აღვსილი საამაყო სახლი, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, მიტოვებულ საყდარსა ჰგავს.

...ჰოდა, იმ ეპიზოდის გაგრძელებას ვისხენებდი.

მოულოდნელად, ისევ ბ-ნი პავლე შემოვიდა ჩვენთან, მე შეცბუნებულმა უნებლიეთ ვკითხე:

— ბატონო პავლე, სად არიან დანარჩენები?

— როგორ! გვეპატიყები თუ? — ღიმილით გვიხარა პავლემ. მე უხერხულად ვუპასუხე:

— როგორმე... აბა სად არიან?!

— ტაქსი დაიჭირავეს და სადღაც გაქრნენ. მხოლოდ სერგო არ გაყოლია მათ, — მოკლედ მითხრა ბ-ნმა პავლემ.

გამოხდა ხანი... ლავროსი გარდაიცვალა. ძნელგზავადილი, ცხოვრებისაგან უკვე მოღლილი, მაგრამ სიცოცხლის წყურვილდაუძრობელი კაცი.

ბ-ნი პავლე, თითქმის მარტო შეთნილი, მეტად მოხუცდა, ერთვად იმდენად დაუძლურდა და დაილია, რომ ბოლო დროს სახლიდან აღარ გამოდიოდა...

სარეცელზე მღუმარედ მწოლიარე როცა ვნახე, მომეჩვენა, რომ თავს დასდგომოდნენ მისი ფიქრების გმირები: ბიორგა მერჩულე, რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა...

ამას წინათ მეზობლურად ინგოროსკვებთან შევიხედე. ქ-მა ლეილამ

მინიატურული წიგნის მოამბე



— ბ-ნ პავლეს ძმისშვილმა, მის სამუშაო ოთახში შემიყვანა, ახლა მას ფერი შეეცვლოდა, აღარ ჰგავდა „ფაუსტის“ საყუდარს. მხოლოდ კედელზე გაკრულმა ვეებერთელა რუკამ, რომელიც დათარიღებული იყო 1902 წლით, ანაზღაურად, ისე როგორც რევან გაბაშვილი იგონებს, წარმომადგენინა სტუდენტის ქორქში გამოწყობილი ახალგაზრდა პავლე, როცა მან ეროვნულ საბჭოში „გასწვრივი ჯოხით რუკაზე, საქართველოს საზღვრები შემოხაზა და წარმოსთქვა: — „აი, ბატონებო, ეს განსვლავთ საქართველო!“

ახლა ჩემთვის ძნელი ასახსნელია, რას ფიქრობდა იმ დროს ახალგაზრდა პავლე — ფიქრობდა ბაგრატიონთა დინასტიის კვლავ აღდგენაზე? თუმცა რა დაუჭერებელია ასეთი ფიქრი ისეთი ქართველისა, როგორიც პავლე ინგოროყვა იყო.

ლაგროსის არქივში ვნახე მის მიერ პავლესადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის არსებობა, ალბათ, მის მეტმა არავინ იცოდა. რახან არქივში აღმოჩნდა და პავლეს ეძღვნება, ამიტომ ვბედავ და მზის სინათლეზე გამომაქვს. აი, ისიც:

გარდახულ ვაშით ხარ გარუჭული,
ვით გაბოლილი ციცილით ლუნელი
და კვლავ მოგვხმის უცხო ჩურჩული:
ნეთ... ფრარტუ... ქაღალდი... სუბერტი...
შუამდინარის, ტივარის, ევფრატის
გაშლილ რუკაზე მძაფრად იხრები.
წაუკეთხავი ქვის და ეტრატის
ფთხისტომობის გტანჯავს ფიქრები...
ხედვ ეთერში მზის სხივს დაწვეულს,
შავთელის ქურღმულს რომ გრის აღმასით.
ამოალაგებს შენთვის ვანძეულს
ძველი ბაგნეთი, მცხეთა, არაშა,
რუსთველის ხატყვის მცველს და

შერქულიც
გხურდა შემუსვრა კალმით ქაჩუღის.
შენ ახლებურად ახსენ შერჩულენ
და შეგვეუარე ტაო-კლარჯეთი.
ხიბრძნის შიკრიკი ხელს შენსკენ იშვებს,
მობდეს გონების ვადანათება,
რომ შენ შიფრადვე უამინდელ ნიშნებს...
იგი მარადევამს შენს სულს განაგებს,
გარდახულ ვანის ნექტარი შეხვი
და უცხო ვანძებს შენთვის ალაგებს
ქართული მიწის ძირი და ფესვი.

მაბატოოს პატივცემულმა მკითხველმა, საკადრისი სიტყვა ვერა ვთქვი ერის ამ დიდ მოპირნახულზე. მე მისი პორტრეტის დახატვა არ განმიზრახავს. იმასაც ვიტყვი, საამისოდ არანაირი პირობაც არ გაშიანდა. ისე, რაც მართალია, მართალია, გულწრფელი სურვილი კი მქონდა ზოგად შტრიხებში აღმედგინა მეხსიერებაში შენახული ეპიზოდები ორი მწერლის ადამიანური ურთიერთობიდან...

ხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის არაერთი ოსტატი საუკუნეების განმავლობაში ზრუნავდა ხელნაწერი, მოგვიანებით კი ბეჭდური წიგნების ყდების დასამუშავებლად. მსოფლიოს მუზეუმებში შემონახულია ხელოვნების უმეარტი ნიმუშები, რომელთა შორისაა ძვირფასი ქვებით შემკული, ქედური ყდებით დამშვენებული წიგნები, აბრეშუმის ან ტარსიკონის ყდაში ჩასმული ულამაზესი ტომები. სახელგანთქმულ თუ ანონიმ ოსტატთა ხელით შექმნილ მშვენიერ ნაწარმოებთა შორის ღირსეული ადგილი უკავია უძველეს ქართულ ხელნაწერებსაც.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართველი მხატვრები მათი ბალტიისპირელი, გერმანელი, ჩეხი, ფრანგი კოლეგებისაგან განსხვავებით შედარებით ნაკლებად ზრუნავენ წარსულის ტრადიციათა გასაგრძელებლად. გამოფენებზე წარმოდგენილი ცალკეული ნიმუშები ამინდს ვერ ქმნიან.

მცირერიცხოვან ენთუზიასტთა შორის, რომლებიც ცდილობენ ახალი სული შთაბერონ მინიატურული წიგნის ხელოვნებას, არის თბილისელი ოსტატი ომარ სირაძე.

ომარ სირაძის წიგნის ხელოვნებით დაინტერესება უმთავრესად განაპირობა მისმა ბიბლიოფილურმა მხარემ. მრავალი წელი შეალია მან მინიატურული წიგნების შეგროვებას. ამჟამად კოლექციაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოცემული 1500-მდე მინიატურული წიგნია. დაზიანებული ყდების აღდგენის აუცილებლობამ კოლექციონერი აიძულა კარგად დაუფლებოდა წიგნის აკინძვის ხელოვნებას. გაეგო მასალების თავისებურებანი.

მოკლე დროში მან შექმნა რამდენიმე ათეული მინიატურული ყდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებისათვის. განსაკუთრებით ბევრს მუშაობს იგი ქართული მწერლობის შესანიშნავ წარმომადგენელთა წიგნების გაფორმებაზე. მას ეკუთვნის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვათა არაერთი პოეტური კრებულის ყდების მხატვრული გადაწყვეტა.

წლების განმავლობაში გამოიმუშავა საკუთარი სტილი. ოსტატი იყენებს არა ნატურალურ ტყავს, არა-

ვინალს, სინთეტიკურ ძაფს. ამ მასალების მეშვეობით, სხვადასხვა ზომის ზოლების ვარიანტითა და კომბინირებით, მეტად საინტერესო შედეგს აღწევს. უმრავლეს შემთხვევაში არ ეყრდნობა დაწვრილებით დამუშავებულ ესკიზს და მხოლოდ საერთო მონახაზით კმაყოფილდება.

ომარ სირაძის პირველ ნაწარმოებთა საფუძველს გეომეტრიული ფორმები წარმოადგენდა. სხვადასხვა ფერის მასალის ვიწრო ზოლების მეშვეობით ქმნიდა საინტერესო დეკორაციულ კომპოზიციებს გააზრებული რიტმითა და ფერადონებით, თავდაპირველად გამოყენებული შედარებით მარტივი მოტივები მოგვიანებით შეიცვალა საკმაოდ რთული, მრავალფეროვანი კომპოზიციებით.

წლების მანძილზე დაიხვეწა მისი ხელწერა, უფრო გააზრებული გახდა მისი დამოკიდებულება გასაფორმებელი წიგნის შინაარსისა და მწერლის სტილისტიკის მიმართ. თუ თავდაპირველად მის მიერ შექმნილი ყდები ნაკლებად იყო დაკავშირებული წიგნის გაფორმების სხვა ელემენტებთან, ახლა ეს ნაკლი დაძლეულია. მიღწეულია მეტი ჰარმონია წიგნის საერთო გადაწყვეტასთან. ამის მშვენიერი ნიმუშია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ყდის რამდენიმე ვარიანტი.

მის შემოქმედებას ახალი ბიძგი მისცა საინტერესო მასალის სინთეტიკური ძაფის გამოყენებამ. სხვადასხვა ფერის ძაფისაგან ავტორი ქმნის მრავალფეროვან, ჰაეროვან, მაქმანასებურად ნაზ კომპოზიციებს, რომლებიც ერთნაირად კარგად იკითხება როგორც მუქ, ისე ღია ფონზე.

ბუენალითაა შექმნილი ყურნალ „პოლიგრაფიის“ მიერ 1989 წელს გამოცხადებულ ტრადიციულ კონკურსში დაჯილდოვებულ ნამუშევართა უმრავლესობა. კონკურსი შესაძლებლობას აძლევდა მსურველებს ყურნალში მალალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი პუშკინის, ახმატოვას, ბლოკის, გუმბილიოვის, ჯუნადავითაშვილის და სხვათა წიგნაკებისათვის შეექმნათ ყდები. კონკურსზე ორასზე მეტმა მონაწილემ წარადგინა ხუთასამდე ორიგინალური გადაწყვეტა.

სასიამოვნოა, რომ გამარჯვებულთა შორის ომარ სირაძის ყდებიც არის. ისინი გამოირჩევა ფანტაზიით, გემოვნებით. იგი საერთოდ აქტიურად მონაწილეობს გამოფენებში, ცდილობს, საზოგადოება დაინტერესოს მინიატურული წიგნის ხელოვნებით.

ნინო ჯაალიშვილი



შეხვედრები



მწერლის არქივიდან



ავამთავრე მოთხრობის კითხვა და ავტირდი. ზამთარი იყო, მაგრამ კაშკაშა მზე ქალაქს ისე ალაამაზებდა, ზაფხული გეგონებოდა. რაღაც საოცრად მშვენიერი იყო ქვეყანა. მე კი ვიჭექი და ვტიროდი.

მციოდა. ჩემს ბინაში ყველაზე უფრო აბაზანაში თბილა. შევედი და თბილ მილებს მივეხუტე...

ცრემლები აღარ ჩამომდიოდა, მაგრამ გული ტიროდა, მიშფოთავდა, მიკვნესოდა ტკბილადაც და მწარედაც.

აუჰ, რა მოთხრობაა „ჰელადოსი“! (ზოგიერთნი კი ამბობენ, ყოველი მეორე გურული მაგაზე ნიჭიერიყო, წადი გურიაში და ელაპარაკეო. ზოგიერთები... ბოროტები, შურიანები! თუმცა მტერი რომ გამოგელევა, მაშინაა ცუდად საქმე).

რამხელა ამბავია სიყვარულის ცოდნა. ამბობენ კიდევ, სიყვარული ნიჭიაო.

მაშ, უნიჭოებით ავსებულა ქვეყანა. რა არის ნიჭი, თუ ის ვერაფერს ვერ დაინახა?!

რანი არიან ადამიანები, თუ სიყვარულმა დასტოვა ისინი.

ან რა არის ადამიანი, თუ მარტო ეს ნიჭი გააჩნია, რომელსაც ვერაფერს ხედავს, რომელიც არავის არ სჭირდება, რომლითაც ვერ გამოსდგომია ვერც სხვას და ვერც თავს.

სიცოცხლის აზრი სიყვარულშიაო, სულ ამას კი გაიძახიან და ამის მტკიცებაში არიან.

ზოგიერთნი, ალბათ, ქალ-ვაჟის სიყვარულს გულისხმობენ მხოლოდ. სიყვარული კი... უბრალოდ, ადამიანური სიყვარული ხომ ზეიშია, რომელიც სულ გულში დედუნებს და გამოძრავებს. და თუ ყოველი დილის გათენებას, როგორც ზეიმს, ისე არ ელო, თუ გათავდა ზეიმი, მაშინ?..

14-15 წლის ბიჭი კი მიხვდა, რომ

თავისი ზეიმის გარეშე. ყოველივე იმის გარეშე, რაც უყვარდა, სიცოცხლე შეუძლებელი იყო და დასტოვა მან ეს „ჰელადოს“-იც, ის „ჰელადოს“-იც, ასეთი ნორჩი უკვე იყო პიროვნება, თავისუფალი.

ჩემი ცრემლები სიბრაულისა არ არის. თაყვანისცემისაა, მუხლმოდრეკისაა იმის წინაშე, რაც ამ დიდებულ მოთხრობაში წავიკითხე. რასაც ველარა ვხვდები ცხოვრებაში.

ცხოვრება სავსეა უსულგულო, პატივმოყვარე არსებებით. ისინი თეთრი გემით კი არა, შავი ურჩხულითაც სიამოვნებით დასტოვებენ თავის „ჰელადოსს“, ოღონდ „გაიძლიონ კუჭი და ჩამოიკიდონ ძინძიბონძები, საბრალონი. მერე როდემდე გაგრძელდება ასეთი ყოფა?

ვთქვათ ყველაფერი გვაქვს, ხომ არიან ისეთებიც, რომელთაც ყველაფერი აქვთ, მერე?

მეგობართან წასვლა ეზარებათ, კინოში, თეატრში წასვლა, წიგნის წაკითხვა, თანაგრძნობისთვის არა სცალიათ.

ნეტავ რისთვის სცალია საერთოდ ხალხს? შურისძიებისთვის?! „მე დედაშენი მიყვარს, — უთხრა იანგულიმ ჯემალს“. სხვისი დედა კი არა, საკუთარიც ამძიმებთ, რადგან ყურადღებას ითხოვს. ყურადღება კი სიყვარულითაა.

მერე როდემდის გაგრძელდება ასეთი ყოფა?

ყველგან, ყველაზე დიდ სავარძელში ზის ფორმალიზმი, არა, ბოდიში, სავარძელში კი არა, ტახტზე, ხელმწიფედ. გამეფებულა.

ამ სამეფოში კი სიყვარული დადის სულ მარტო, მოდიდან გამოსული, გახუნებული სამოსელით, ვერაფერს ამჩნევს. ვინ არის იგი? რა არის? თითონაც ეშინია, მორიდებულია, ეშინია, არავის შეეხოს, ჩრდილი არ მიაყენოს ფორმალიზმის ცივი სხივებით გაბრწყინებულ არსებათ.

იანგული კი იყო ადამიანი, უსწავ-

ნოდარ დუმბაძე და ტიტო კალატოზიშვილი

ლეო. მემწვანილე. უბნის ყოჩი ხულიგანი. მაგრამ ადამიანი დიდი გრძნობებით, უზარმაზარი გულით, მშვენიერ მკერდში რომ უფეთქავდა, მკერდი, რომელზეც სამშობლო ეწერა, გულით, რომელიც მამას ემორჩილებოდა, ხელებით, მამის წინ ძირს რომ იყვნენ დაშვებულნი, გულით, რომელსაც მიუწვდომელი ყვავილი უყვარდა, ვაჟკაცობით, რომელმაც მისი მჯობნი შეაყვარა, სისათუთით, რომლითაც თავისი დიდყურა და დიდთვალა ცხოველი უყვარდა. სილაღით, რომლითაც უყვარდა ზღვა, ქვიშა და ზღვის კენჭები. სიამაყით, რომლითაც თავისი ღირსება უყვარდა, უყვარდა, უყვარდა, უყვარდა. იცოდა სიყვარული.

სადა ხართ ასეთებო!!!
არ არის სივრცე. არ არის გოლიათები. არსაიდან ექო.

6 იანვარი, 1978 წ.

1984 წლის 20 სექტემბერს კი, ნოდარ დუმბაძეს უკანასკნელად შეავლო თვალი მისმა საყვარელმა ქართულმა ცამ. შემოდგომის მწუხარებ მზემ ჩააცვილა „მზიურში“.

ქვეშაბრტყლად პირველი და ერთადერთი შემთხვევაა პოეტი თავის ლექსში ჩაწვეს, როგორც საწოლში, ლექსი წაიხუროს თავზე და მისი სტრიქონები კარგად შემოიკეცოს.

„მზიური“ ხომ მისი უკანასკნელი ლექსია, რომელიც მან ბავშვებს უძღვნა.






მწყინს, რომ მისი ნაწარმოებით გამოწვეული ჩემი ფიქრები და გულის გამოძახილი არ გაეფუგავნე მას, ვისაც ეს გაახარებდა, ალბათ.

სიხარული ხომ სიცოცხლეს უხანგრძლივებს ადამიანს.

„მოდით, ერთმანეთს ვუთხრათ ქათინაურები...“ კარგად უთქვამს პოეტს.

ნელი აუთათელაძე.

20. 09. 84 წ.






დიდგორის ბრძოლის წინ

ილია პატაშვილი



ჩემი სოფელი



თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი ილია პატაშვილი თვითმყოფადი, ორიგინალური უანრის მხატვარია. ეროვნულ ნიდაგზე აღმოცენებული მისი ფერწერული ტილოები აღსავსეა ძლიერი დრამატიზმით.

სადიპლომის ნამუშევარმა „ღვით აღმაშენებელი დიდგორის ბრძოლის წინ“ — მხატვარს პირველი სერიოზული აღიარება მოუტანა.

1982 წელს ილია პატაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა. იგი ხშირად მონაწილეობს რესპუბლიკის და საზღვარგარეთის კვეყნების სამხატვრო გამოფენებზე. იაპონიაში მიღებულმა შედეგმა ცხადყო მხატვრის გამარჯვება.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მეოთხედი საუკუნეა ფერწერის კათედრაზე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.





მთათუშეთი.

ფოტო ბონდო დადვასისა

პოლიტიკური ანკლოზაჟი

ერთმა დიდმოხელემ იმპერატორ ვესპასიანეს მოახსენა: „ჩემი ძმა მოგუყვანეთ, უსამსახუროდ არის და ძალიან გთხოვთ, რომელიმე პრინციის მშარტველად დანიშნოთ“. ვესპასიანემ იცოდა, რომ ამ მოხელეს ძმა არა ჰყავდა, ამიტომაც უთხრა: შენ ცოტა ხანს გარეთ გადი და შენი ძმა შემოგზავნეთ. როგორც კი უცნობი შევიდა, ვესპასიანემ უჩურჩულა: რამდენსაც მაგ მოხელეს დაპირდი ადგილისათვის, ის თანხა მე მომეცი და ახლავე დაგნიშნავ მაგ თანამდებობაზეო. მთხოვნელმა იქვე ჩაუთვალა ფული და დაპირებული თანამდებობაც მიიღო, ხოლო თავის მოხელეს კი ვესპასიანემ უთხრა: ეგ კაცი ჩემი ძმა აღმოჩნდა, შენ სხვა ძმა მოძებნეო.

* * *

ძველ სპარტაში უცოლობა სძარახებდა ითვლებოდა. სახელოვანი სტრატეგი დერკოლიდა, რომელიც სხვათა შორის უცოლო იყო, ერთ თავყრილობაზე შევიდა. მას ადგილი არ დაუთმო ახალგაზრდამ და უთხრა:

— შენ ჭერ არავინ გაგიჩინა ქვეყანაზე, რომ შემდეგში მე დამითმოს ადგილი.

* * *

რომაელ იმპერატორს მარკუს ულიუს ტრაიანეს ეკუთვნის შედევრის მუშაობა გამაზიანებელი ცინიკური კალამბურები — „შე მოვკვდი იმის შედეგად, რომ ექიმებს სხვადასხვა აზრი ჰქონოდათ“.

* * *

მარშალი პელისიე არ იყო განთქმული ზრდილობით. ხშირად საშინლად გაანჩხლდებოდა ხოლმე და უმართებულოდაც ექცეოდა ოფიცრებს. ერთხელ აღფირში ისე გაცეცხლდა, რომ მათრახი შემოჰკრა სახეში ოფიცრს. ოფიცრმა ამოიღო დამბახა და ესროლა მხედართმთავარს, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა და არ გავარდა. მაშინ პელისიემ ბრძანება გასცა, დაეპატიმრებინათ ოფიცერი და განაცხადა: „ვაპატიმრებ იმიტომ, რომ იარაღის მოვლა-პატრონობა და მოხმარება არ სცოდნია“.

* * *

ბავარიის იუსტიციის მინისტრმა ფილიპ ჰელდმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩვენ დიდად ვზრუნავთ პატიმრებისათვის. ამას წინათ ერთ-ერთი საპატიმროსათვის საექსპლუატაციოდ გადაეცა ახალი შენობა და სიამოვნებით გაუწყებთ, რომ დღეს იქ ერთი თავისუფალი ადგილიც აღარ არის“.

* * *

ფრიდრიხ ენგელსი „ანტიდუროიზმი“ არჩევს რა რაოდენობრივი კატეგორიის თვისობრივი გადაზრდის პრობლემას, მოჰყავს ნაპოლეონის აზრი სახელგანთქმული მამულეების ინდივიდუალურ სახედრო მამაცობაზე და მასთან შედარებით ევროპული სახმედრო ორგანიზაციის უპირატესობაზე. ორი მამულე, — წერდა ნაპოლეონი, აუცილებლად სჯობია სამ ფრანგს. 100 მამულე 100 ფრანგს უდრის. სამასი ფრანგი ჩვეულებრივად სჯობია სამას მამულეს, ხოლო 1000 ფრანგი უცვლელთვის ამარცხებდა 1500 მამულეს.

* * *

იულიუს კეისარს ჭაში ავდარმა მოუხწრო და აიძულა ერთ ღარიბულ კორხში შეეფარებინა თავი. ქონი პატარა წინკარისა და ერთი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ერთ კაცს თუ დიპტემად ძლივს. მაშინ კეისარმა ოთახში მოსვენება თავის დატვირთვას მუცლის ოპიუს შესთავაზა, თვითონ კი სხვებთან ერთად კარის წინ მოკალათდა, შეგობრებს და ამაღლას კი მიმართა: „სამატიო ადგილი უკველთვის ძლიერებს უნდა დაეთმოთ, ხოლო აუცილებელი კი — ავადმყოფებსო“.

რომის იმპერატორი ვესპასიანე უცვლელ ღონეს ხმარობდა სახელმწიფო ხაზინის შესახებად ისე, რომ გადასახადი საზოგადოებრივ საპირფარეოებზეც კი დააწესა. მისმა მემკვიდრემ და მომავალმა იმპერატორმა ტიტუსმა უსაყვედურა მამას: სირცხვილია, ამ გზით ნაშოვნი ფული ხელში როგორ უნდა აიღოს კაცმაო. ვესპასიანე, სწორედ იმ დროს, საპირფარეოებზე დაწესებული გადასახადების შემოსავალს ითვლიდა. მან მოხვეტა მაგიდაზე დახვედრული მონეტების ერთი ბლუჭა, ცხვირთან მიუტანა შვილს და ეკითხება: აბა ნახე. უდის შარდის სუნი? არაო, — უპასუხა ტიტუსმა.

— მაშ დამახსოვრე, რომ ფულს სუნი არა აქვს.

* * *

საბერძნეთის საუკეთესო ადამიანები ღარიბები იყვნენ, გვარწმუნებს ელიანი. ერთ-ერთი იყო ფოკიონი, რომელსაც ალექსანდრე შეკედონელმა 100 ტალანტი გაუგზავნა.

— რატომ მიგზავნის ფულს? — იკითხა ფოკიონმა. უპასუხეს, რომ ალექსანდრე მას მიიჩნევს ყველაზე უფრო ღირსეულად ათენელთა შორის.

— მაშ, დაე მან მომცეს ნება, ასეთივე დავრჩე.— უპასუხა ფოკიონმა და დიდი დამპყრობლის ნაჩუქარ ფულზე უარი განაცხადა.

* * *

ჟან-ჟაკ რუსო თავის პედაგოგიურ თხზულებაში „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ მსჯელობს რა მოქალაქის მორალზე, მოჰყავს მაგალითი: „ლაკედემონელმა პედარეტმა სამსთა სათათბიროს წევრობა ითხოვა და როცა უარი უთხრეს, აღტაცებული იყო, რომ სპარტაში სამასი კაცი აღმოჩნდა მასზე უფრო ღირსეული“.

* * *

ერთმა უცხოელმა ქალმა სპარტის მეფის ლეონიდეს ცოლს უთხრა:

— მარტო თქვენ, სპარტელი ქალები ხართ ქვეყანაზე, რომელთა სიტყვას და რჩევას ვაჟკაცი ემორჩილებიან ხოლმე.

— ეგ იმიტომ, რომ მარტო ჩვენ, სპარტელი ქალები ვართ, რომელნიც ვაჟკაცებს ვზრდით.

* * *

მეფე ერეკლესთან მოხუცი დედაკაცი მისულა წყალობის სათხოვნელად. მეფემ ქალი დასაჩუქრა, თან ამზავი გამოჰკითხა, შვილები არა გყავსო? შვილი შვილი მყავსო, შვიდივე ვაჟიო.

— მერე და შვილი ვაჟის პატრონს სამოწყალო რა გაგჭირვებია? — გაოცდა მეფე.

— ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანა, — მიუგო დედაკაცმა. აქედან წამოვიდა ანდაზაც: „ბევრი რად უნდა დედასა, ერთი ხეობს სახელოვანი“.

* * *

— რატომ მაქვს მე ქალარა თავი და შავი წვერი, თქვენ კი შავი თმა და ქალარა წვერი? — ჰკითხა კარდინალმა რიშელიმ მკურნალ დელოურს.


— ადვილი მისახედრია, — უპასუხა მკურნალმა, — თქვენს უგანათლებულეობას გონებით უფრო მეტი უჭირსო, მე კი ყუბებით უფრო მეტი მიმუშავია.

* * *

— როგორ გეყავთ გამხედლობა სამეფო ფინანსების მართვა-გამგეობა გეკისრათ, როცა თქვენი პირადი საქმეებისათვისაც ვერ მოგივლიათ? — ჰკითხეს საფრანგეთის ფინანსთა გენერალურ კონტროლიორს კალონს (XVIII ს.).

— სწორედ ამიტომაც მოგვიდევ ხელი სამეფო ფინანსების მართვას, რომ საკუთარი ფინანსები მეტისმეტად ამეწევა, — მიუგო კალონმა.

სიოლოზი



უჩა სახლთხუციშვილი

უჩა სახლთხუციშვილი პროფესიით კინორეჟისორია. მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კინორეჟისორის ინსტიტუტში გამოყენებითი კინორეჟისორის ხაზზე. ამასთანავე დაინტერესებულია ქართულ ენაზე კინორეჟისორის ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნით. ორი წიგნის ავტორია: „მოაბოტებს რობოტი“, გამოსცა „ნაკადულმა“, „შეხვედრა ხიუვარულთან“ — „მერანმა“.

მ

ესამე კლასში გადავედი. დაგვიტოხვეს თუ არა, მაშინვე მზადება დავიწყე გორანაში წასასვლელად. ეს სოფელი მდინარე ივრის შენაკად გორანულას ხეობაშია გაშენებული.

იმ უბანს, სადაც მე სტუმრად დავდიოდი. მოსიკათ უბანს ეძახიან.

იქაური ტოლი ბიჭები ღიმილით შემომხედნენ გზაზე, გვერდში ამომიდგნენ და სახლამდე მიშაცილეს.

მასპინძლის ეზოში ერთი ახალგაზრდა ვაჟი დამხვდა.

— მე ვაჟა მქვია, ბიოლოგი ვარ, — თავი გამაცნო. — შესამე კურსზე გადავედი, ასე რომ მე და შენ ტოლები ვართ. მაშასადამე, შეგიძლია ისევე მელაპარაკო, როგორც შენს ტოლს. მით უმეტეს, რომ ერთად ვისვენებთ, ერთ ოჯახში და, ალბათ, ერთ ოთახშიც მოგვიწევს ძილი, რადგან ჩემს ოთახში არის მეორე საწოლიც, რომელსაც შენ გინახავენ.

მესიამოვნა, ვაჟამ რომ თავი ასე გამიტოლა. დიდად კმაყოფილი დავრჩი მასთან საუბრის გამოც. მხოლოდ ერთი რაღაც ვერ გავარკვიე კარგად. ბიოლოგი რა საქმიანობას ეწევა? აი ეს ვერ მოვიფიქრე. მათემატიკოსი რომ ეთქვა, მაშინვე ვიფიქრებდი, საქმე არითმეტიკასთან აქვს-მეთქი. სპორტსმენიც კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა, ენათმეცნიერ-

საც მივხვდებოდი როგორმე. ბიოლოგი კი, რა ვქნა, არ ვიცოდი.

სანამ ნინო ბებია მოვიდოდა, ვაჟამ გაგვიწია მასპინძლობა.

მერე მამაჩემი თბილისში წავიდა. დავრჩით მე და ვაჟა.

— ახლა, ჩემო კარგო, მე და შენ ბებიას უნდა მივეგებოთ იაღნოს გზაზე, — მითხრა საღამოს ვაჟამ. — დღეს ნინო ბებია საქონელში მორიგვობს, უკან დაბრუნებისას ძროხები რომ არ დაეფანტოს, მე და შენ კაი სირბილი მოგვიწევს. ამიტომ დროზე ჩაიცივი შენი კედები და მოვუხსვით ზემოთკენ.

მისი ხალისიანი და ნახევრად ხუმრობის კილოზე ლაპარაკი ძალიან მომეწონა. ათიოდ წუთისაც არ გაუვლია, მე და ჩემი ახალი ნაცნობი იაღნოს კალთებისაკენ მივეუყვებოდით ხშირი ტყით დაფარულ ბილიკს.

ვაჟა ხშირად ჩერდებოდა, ხან მცენარეებს აკვირდებოდა, ხან მწერებს. ერთი უცნაური კალაია დააჭირა კიდევაც, ასანთის კოლოფში ჩასვა და ჯიბეში ჩაიღო.

— ჰოპ, გაჩერდი, — ძიბრძანა უცებ ვაჟამ და ტუჩზე თითის მიდებით მანიშნა, ხმა არ ამოიღო. დაიხარა, სველ ბილიკს დააკვირდა, ორიოდ ნაბიჯი ფრთხილად გადადგა და ბილიკს აღმა დაუწყაო ყურება. — მოდი! — მითხრა და წაკუზული გაემართა წინ.

მე ცუხცუხით მიყვები უკან, თან დამბოლოვი ვადევნებდი თვალყურს მის ყოველ მოძრაობას. ათიოდ მეტრი რომ გავიარეთ, ვაჟა უცებ შეჩერდა. მარჯვნივ ყვავილებით ათასფრად აფერადებული ველი იყო. ვაჟა ფრთხილად წამოიშარტა, თან დაკვირვებით ათვალეირებდა ხელის გულივით წინ გაშლილ შოზრდილ ველს. უცებ დაიძაბა, თვალები გაუფიქრებლად, თავი მოულოდნელად მოხარუნა ჩემკენ, გამიღიმა და მანიშნა, ახლოს მოდიო.

— რა არის? — ვიკითხე ხმის კანკალით.

ვაჟამ ხელში ამიყვანა, თათით შაჩვენა საითკენაც უნდა მიმექცია ყურიდღება და ფრთხილად გადავიდა ბალახებში. ათიოდ მეტრის იქით ბალახები რიგ-რიგობით ტოკავდა, აშკარა იყო, რაღაც მიდიოდა წინ. დამბოლობისაგან სუნთქვა შემეკრა.

არ ვიცოდი, უნდა შემშინებოდა თუ გამხარებოდა, მაგრამ ცხადია პირველ გრძობას უფრო ადვილად ვემორჩილებოდი. სხვა რომ არაფერი, სოფლისგან მოშორებით, ტყეში ვიყავით. თავი ოდნავ დავხარე, ტუჩები ყურზე მივაღე ვაჟას და ჩავჩურჩულე:

— იქ რაღაც მოძრაობს...

— მელაა, — მიპასუხა ვაჟამ ჩურჩულითვე. — თავგებზე ნადირობს.

მელის ხსენება დიდად არ გამხარებია. გულზე მაინც მომეშვა, ცოტა გავხალისდი კიდევაც.

— იქნებ ქათმებს ეპარება? — ვიკითხე გულმოცემულმა.

— აქ ქათმებს რა უნდა. კაცო? ბიოლოგი ვარ-მეთქი, ხომ გითხარი. ესე იგი, ცხოველებზე და მცენარეებზე რასაც გეტყვი, წყალი არ გაუვა.

ახლა კი მივხვდი, რასაც ნიშნავდა ბიოლოგი. ვაჟა რატომღაც კიდევ უფრო გაიზარდა ჩემს თვალში. აბა, წარმოიდგინეთ, ჭერ იყო და ბილიკზე ნაკვალევი ისე აღმოაჩინა, მე სულ არ მომსვლია აზრად, თუ ჩვენს გარდა ვინმეს შეეძლო აქ კვლის დატოვება. მაინცდამაინც იმ ველზე რომ გავიდოდა კვლის დამტოვებული, მერე იმასაც მიხვდა. ახლა ბალახების მოძრაობაზე გამოიცნო რა იყო და რას აკეთებდა.

ვაჟამ ისევ დამსვა, ხელი ხელზე მომიკრა და ქვემოთა მხრიდან შემომატარა ველზე.

— ქარი ზვიდან უბერავს, თუ გინდა ცხოველმა ვერ დაგინახოს და სუნზეც ვერ გამოიცნოს რომ ეპარები, ქარის მხრიდან ის უნდა მოაქციო, საწინააღმდეგო მხარეზე კი შენ დარჩე, — დამარბია ვაჟამ და მოხერხებულად ადგილას გამაჩერა. თანაც სახეგაბრწყინებული მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც ბალახები მოძრაობდა. მეც იქით ვიყურებოდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ვაჟამ სხარტად დამტაცა ხელი და მხარზე შემისვა. გაციებისაგან პირი დავაღე, მოწითალო ფერას გრძელკუნა შელია ბალახებში სხარტად დახტოდა და ხან სად თხრიდა წინა თათებით მიწას, ხან სად. თათებს ისე სწრაფად ამოძრავებდა, თვალს ძლიერს მიაყოლებდი. მერე პირში ლუქმაგაჩრილი წამით გაიტრუნებოდა.

ლუკმის გადაულამვისთანავე წამოსწვედა თავს, ყურებს აცქვეტდა, ცხვირს წინ გაიშვერდა და პაერს ყნოსავდა. მერე ისევ ჩაყოფდა ცხვირს ბალახებში და დაიწყებდა წინ და უკან სირბილს.

— მოგწონს? — მიჩურჩულა ვაჟამ.

— კი, ძალიან, — ვუპასუხე ისე, რომ თვალი არ მომიცრინებია კუდბუთქუნა ოინბახისთვის.

ცოტა ხანს კიდევ ვუცქირეთ, როგორც კი ადგილიდან დავიძარი, რომელიღაც ფრინველმა დაიჩხავლა და თავზე გადაგვევლო.

ეს ჩხიკვია, — მითხრა ვაჟამ. — ახლა მელია იქ აღარ იქნება. ჩხიკვი იმისთანა ეშმაკია, მაგის შიშით ტყეში ვერავინ გაფაჩუნდება. ხო ხედავ, რა ჩხავილი ატეხა.

ბილიკი დაბლა ჩადიოდა. გრანულის ერთ-ერთი შენაკადი აქ შოზრდილ რიყეს ქმნიდა. წყალი გაშლით მიდიოდა, ზოგან კი გუბებზეც იკეთებდა. ერთი გუბის პირას ნახტომებით მიიბრინა ვაჟამ. უცებ დაიხარა, რაღაცას ხელი დასტაცა, მიწას მიაკრა, მეორე ხელი ცოტა მოშორებით მიაშველა და წამში გრძელი, შავი ფერის ჯოხივით გაწეილი ქვეწარმავალი აიტაცა.

— ვაიმე, გველი, — დავიყვირე მე და ადგილზე გავშეშდი. ვერც წინ დგამდი ნაბიჯს, ვერც უკან.

— რა იყო, ბიჭო, შეშინდი?

მე ხმა ვერ ამოვიღე.

— რა ფერი გადევს, რა მოგივიდა. ეგ გველი შხამიანი კი არ არის, წყლის ანკარაა, ნატრიქსი ჰქვია. ბაყაყებსა და ავადმყოფ თევზებს ჭამს. მაგის როგორ გეშინია.

როგორც კი გადმოდგა ნაბიჯი ჩემკენ, მე უკან-უკან წავედი რიყეზე.

— ნუ გამაგიჟე, კაცო. მე შენ ვაჟაკი მეგონე. შენზე იმდენს მიყვებოდა ნინო ბებია, ვიფიქრე, მეგობარს შევიძინე. მეც გავძდიდრდები და იმასაც გავამდიდრებ-მეთქი.

— ხელები დაიბანე! — მე თვითონაც ვერ მივხვდი, ვთხოვდი თუ ვუბრძანებდი ვაჟას.

— ახლავე, ბატონო. მაგაზე ადგილი რაღაა, შენ ოღონდ დაწყნარდი.

გული ცოტა რომ დაშიშვდიდა, შემრცხვა კიდევ, თვალი ველარ გავუსწორე ვაჟას.

— არა, შენ მშიშარა არა ხარ, ვიცი, უვიცობის ბრალია. ათასი ზღაპარი გაქვს გველებზე გავგონილი და ყველაფერი გჯერა. საქართველოში ისე იშვიათად არის შხამიანი გველი, ზოგჯერ სანთლით ეძებენ და ვერ პოულობენ. ეს კი სრულიად უწყინარია. შენ ალბათ ხელიკისაც გეშინია, არა?

ხელიკის ნამდვილად არ შეშინოდა, ამიტომაც თამამად მივუგე:

— ხელიკისა არ მეშინია, ხელიკს მეც დავიჭერ.

— ხო, მეც მანდა ვარ, აკი გითხარი, შენ მშიშარა არა ხარ-მეთქი. უბრალოდ, არ იცი, რომ ზოგი გველი ხელიკისგან მხოლოდ ფორმით განსხვავდება. სხვა მხრივ კი ისევე უწყინარი და საცოდავია, როგორც ხელიკი. შენ კი შენმა თბილისელმა ბებიაშ და მამიდებმა ისე დაგაშინეს, ალბათ ბილიკზე დაგდებული ჯოხიც შხამიან გველად შოგერჩვენება, არა?

გზა გავაგრძელეთ. გული მართალია დავიშოშმინე, მაგრამ თვალებს მაინც აჩეთიქეთ ვაცეცებდი. ვაჟამ შემამჩნია ეს და საუბარი სულ სხვა რამეზე გადაიტანა.

— შენ თურმე სულ ხუთებზე სწავლობ. სკოლას რომ დაამთავ-

რებ, რა გინდა გამოხვიდე. ჯერ არ გიფიქროა?

ჯერ არ მეფიქრა მაგ საკითხზე, არც ამჭერად დავფიქრებულვარ. მაშინვე მივაძახე:

— ბიოლოგი. ბიოლოგი მინდა გავხდე!

— ყოჩაღ, ასეც გატყობდი. აბა, ახლაც შეგეშინდება? ჩვენ ტოლები ვართ და თანაც კოლეგები. ხომ იცი, რას ნიშნავს კოლეგა. კოლეგა ის მეგობარია, რომელიც იმასვე აკეთებს, რასაც შენ. რა თქმა უნდა, მთლად მეგობრობა არ არის აუცილებელი, მაგრამ ჩვენ სწორედ მეგობრები ვართ. ხომ მართალია?

— მართალია, — დავუდასტურე გახალისებულმა და მის გამომშლილ მარჯვენას ვაჟაკურად დავურტყი ხელი.

— მე შენ ისეთ რამეებს გასწავლი, აჩაური ბიჭები სულ პირდაღებულნი გიცქერდნენ.

აჩაური ბიჭები ისედაც ხშირად მიცქერდნენ და მისმენდნენ ხოლმე პირდაღებულები, მაგრამ იმათაც ბევრჯერ დავუტოვებივარ გაცეცხული. მისმა სიტყვებმა მაინც სიმხნევე შემმატა, სიამაყეც კი.

რიყიდან გადავედით თუ არა, ვაჟა შეჩერდა, შემომხედა და მკითხა:

— კუსი ხომ არ გეშინია, ბიჭო!

კუ ბევრჯერ მენახა, ხელშიც კი მყოლია აყვანილი. ვიფიქრე, ახლა კი დავუმტკიცებ ჩემს ვაჟაკობას-მეთქი.

— სად არის? — ვიკითხე გულწრფელი ინტერესით.

— აგერ აქვეა. რახან არ გეშინია, შენ თვითონ იბოვენე. აბა, კარგად დააკვირდი ირგვლივ ყველაფერს, შორს კი არ არის, სულ ორიოდ მეტრის სიშორეზეა.

ჩამავალი მზის სხივებზე ყვითლად ბზინავდა ჩქონზე აბინებულნი დაბალი ბალახი. ქვებზე სველი კვლი მოჩანდა. კვალს თავისთავად გაჰყვა ჩემი მხერა და ბუჩქებთან დინჯად მიმავალი ვეება კუ დავინახე. უცებ გავიქეცი, კუს ბაკანზე დავტაცი ორივე ხელი და მაღლა ავწიე. კუმ თეთრნარევი, მომწვანო ბლანტი მასა მხარზე შემომამუხეფა. ვაჟამ სიცილი ატეხა, ისე გამხიარულდა. ფეხზე ველარ დგებოდა. მე კუ მიწაზე დავავადე და ხელი დაუფიქრებლად ჩამოვისვი ბერანგზე. ამის დანახვაზე სულ გადაიჩია ვაჟა.

— ყოჩაღ, კუსი ნამდვილად არ გეშინებია. აი, კუს კი ეგ ამბავი შიშისაგან დაემართა. — სიცილით მეუბნებოდა ვაჟა.

საქონლის ბლავილი და ნინო ბეზის შეძახილი მოგვესმა. მალე პირველი ძროხაც გამოჩნდა. ჩვენ



საიღუაფლო აბუნა

ანუ ცხოვრება კაცისა, რომელსაც არ უმუშაოია თავის ოჯახსაც კი გაანდოს მისი სამუშაო ადგილი

ი. ჯუფელაშვილი,
„პიკა“, მიუნხენი.



დრიანად, როგორც წესი, 4 და 4.30 საათს შუა, იგი უხაპს იღებს, ჭუჭყი უნდა ჩამოირეცხოს, ჭუჭყი სადგურის სამიკიტ-ნიდან და სათამაშო თავშესაფარებიდან, ჭუჭის მტვერი. მთელი მისი სხეული გაყდენილია თამბაქოს კვამლის სუნით, ყარს კარაქზე შემწვარი კარტოფილით, იაფფასიანი სუნამოთი.

ზოგჯერ მოგინდება, რომ ყველაფერი ეშმაკს გაატანო, უცებ ხელები კანკალს იწყებენ. მაშინ იგი, უხაპის ქვეშ თითქმის ნახევარი საათი დგას. შემდეგ კი საბანში შეძვრება და მისი ცოლი, როგორც ყოველთვის ეკითხება:

— ჰაინერ, შენ თავს ნორმალურად გრძნობ?

— ჰო, ჰო, — უპასუხებს ის, — ყველაფერი რიგზეა.

მაშინაც კი, როცა თავს საძაგლად გრძნობს.

და აი, ახლაც, ჰაინერ ბ. (მისი ნამდვილი ვინაობის გამხელა არ შეგვიძლია) თავს აიძვებს, რომ ეს გაგრძელებული კიდევ ორი, სულ დიდი სამი წელი.

ეს სამუშაო უკიდურესობამდე მომქანცველია: 35 წლის ჰაინერ ბ. პოლიციელია, განსაკუთრებულ განყოფილებაში მუშაობს. ეს ის კაცია, რომელიც ყოველ ღამე სულ სხვა სამყაროში ჩაეშვება, მასთან აირევა.

ჰაინერი — თაღლითია. ასე ფიქრობს ყველა, სინამდვილეში კი იგი იატაკქვეშა მძებარია, საიდუმლო

აგენტია. მან იცის, სად და როდის გადაინახვენ ნაქურდალ ნოხებს. მისთვის ცნობილია ნომერი სასტუმროში. სადაც ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის მორიგი გარიგება გაიმართება. იმიტომ, რომ იგი თავს ასაღებს სამი კილოგრამი კოკაინის მყიდველად. ამას გარდა, ერთი-ორჯერ მან შესძლო გაეგო, თუ რომელ ბანკს გამოაცარიელებენ უახლოეს დროში.

ვის სჭირდება ეს გამუდმებული ხიფათი, რისთვისაა ასეთი ცხოვრება გამოგონილი სახელით? ჰაინერი პასუხს არ აყოვნებს:

— იმიტომ, რომ მე პოლიციელი ვარ მთელი ასი პროცენტით. იმიტომ, რომ ის, ვისაც განზრახული აქვს შეაჩეროს ზღვარს გადასული ბოროტმოქმედება, ამას უნდა მოაზმაროს მთელი თავისი ძალ-ღონე, შესაძლებლობა.

ამას წინათ, მაგალითად, იგი — გერმანიის ჩრდილოეთის შვედრი, სამხრეთში გადაისროლეს, ჰესენში. იქ მას არავინ იცნობდა — ეს კი დიდი უპირატესობაა. სიტუაცია ასეთია: ქურდები სულ უფრო ხშირად იმ ადგილებში გამოჩნდებიან, სადაც მდიდრული აგარაკებია, ნაძარცვი მილიონებს აღწევს. ძარცვის ორგანიზატორები, ამაში ადგილობრივი პოლიცია დარწმუნებული იყო, იკრიბებოდნენ სამიკიტნოში, სადაც უმთავრესად თურქები და იუგოსლავები დადიან.

ჰაინერმა თავი მოაჩვენა, როგორც უსახლკარომ. ყოველ საღამოს, ორი კვირის განმავლობაში, იგი დახლთანაა მიყუდებული. წუწუნებს

გვერდზე მივღეკით და ბილიკი გაჩქარებით მომავალ ცურსავსე ძროხას დავუთმეთ.

მინდორზე გავედით. ძროხები გაშლილიყვნენ და ხაოიანი ენით მარდად იხვევდნენ პირში მწვანე ბალახს. მინდვრის თავში ნინო ბებია და ვილაც კაცი იდგნენ ჯოხებზე დაყრდნობილები და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იქვე ერთი გულთეთრი ნაგაზი წამოყუნტულიყო, ნაგაზმა დაგვინახა თუ არა, მაშინვე ყურები ცქვიტა, ჯერ წამოდგა, დაიღრინა, მერე მოსწყდა ადგილიდან და ჩვენსკენ გამოექანა.

— არიქა, ძაღლი! — იყვირა ვაჟამ, ხელი მტაცა მკლავში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა.

— ჰო, შე სამგლე, რა იყო, რა მოგეჩვენა? გადი, გადი, — ისძოდა ნინო ბებიას და ძაღლის პატრონის ხმა.

ძაღლი მოგვიახლოვდა. მე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ და ქვა ვესროლე. ძაღლი გვერდზე გახტა და ქვა აიციდინა, მაგრამ ჩვენსკენ აღარ წამოსულა. ადგილზე დარჩა და იქიდან დაგვიწყო ყეფა. ვაჟამ ძაღლს გახედა, მერე ისევ მე მომაჩერდა და ჩაილაპარაკა:

— აკი გითხარი, შენ მშიშარა არა ხარ-მეთქი, — ესა თქვა და თანაც შეიოხერო, შენა, მარტო ყოფილხარ. — მერე ისევ მე მომიბრუნდა: ძაღლს შეუტია. — გადი, დაიკარგე — ერთხელ, სევანეთში ორი ძაღლი დამესია, სულ დამძენძეს, სანამ ვინმე მომეშველებოდა. ცოფიანები არ იყვნენო, ექიმებმა ორმოცი ნემსი დამარტყეს. მას მერე მეშინია და ვერიდები ძაღლებს.

გულწრფელად შემებრალა ვაჟა. ის რომ წარმოვიდგინე, როგორი გასაძლებია ორმოცი ნემსი, სულ ცოდვით დავიწვი. ვაჟასთან მივედი, წელზე ძმურად შემოვხვიე ხელი.

— შენ ვაჟაკი ყოფილხარ. მე და შენ დიდი მეგობრები ვაგზდებით, ძალა მეგობრობაშია. ხედავ, შენ გველისა გეშინია, მე ძაღლისა. როცა ერთად ვართ, არაფრისა შეგვეშინდება. აი ასეთი დიდებული რამაა მეგობრობა.

ხელი მხარზე მომხვია და თამამად წავედით ძაღლისაკენ. ძაღლი უკან გაძუნძულდა, მობრუნდა და შემოგვყეფა. რომ ნახა, არ შევეპუეთ, ცივად შეტრიალდა და სირბილით წავიდა პატრონისაკენ. იქაც პატრონმა დასწყვილა და ჯოხი დაუქნია. ნირწამხდარი ნაგაზი გაფრთხა. მინდვრის ბოლოში ჩავიდა. პატარა ბორცვზე წამოწვა, თავი წინა თათებზე დაიდო და რიდიტ დაიწყო ჩვენსკენ ყურება.

იმის გამო, რომ ხურო ცუდი ხელო-
ბაა. მიუხედავად ამისა, ჰაინერი, რო-
მელსაც ახლა მანფრედ კაუფმანი
ჰქვია, ზოგჯერ ყველას ლუდით უმბა-
სპინძლებდა და აღფრთოვანებუ-
ლია შვებულებით, რომელიც მან
ორი წლის წინ გაატარა ადრიატი-
კის ზღვის სანაპიროზე იუგოსლავი-
აში. მუდამ შესანიშნავი ამინდი
და საოცრად ცისფერი ზღვა. შეუძ-
ლებელია ეს არ მოგეწონოს.

მეოთხე კვირის ბოლოს, მას უკვე
ნებას რთავენ, რათა მიუჯდეს ყვე-
ლაზე შორეულ მაგიდას კუთხეში.
ეს ოთხი იუგოსლაველის ადგილია.
მათ ყოველთვის შროიანად აცვიათ.
ლაკის ფეხსაცმელები, ახალ-ახალი
კოსტუმები.

ყველაფერი ისე მიდის, როგო-
რაც დაისახა. ერთხელ დამით,
როცა იგი ტულატიდან გამოვიდა,
შენიშნა, როგორ სწრაფად ჩააბრუნ-
ა ერთ-ერთმა იუგოსლაველმა ჰაი-
ნერის საქაღალდე მისსავე პიჯაკის
ჯიბში.

იგი ამისთვის მზად იყო. ამას კი-
დეც ითვალისწინებდა მისი ჯიბმა.
ახლა მაძებარმა უკვე ზუსტად იცის,
რომ ამ ბიჭებმა შეისწავლეს მისი
საბუთები და დაკმაყოფილდნენ
ყალბი სახელით, ყალბი მისამართით
და ყალბი დაბადების ადგილით. ამ
შემთხვევისათვის მზადაა თვითური
კინიგზის ბილეთიც ფრანკფურტი-
დან დარმშტატამდე, აგრეთვე ჰამ-
ბურგის ვიდუოტეის საწვგრო ბი-
ლეთი — ყველა ეს დოკუმენტი მან-
ფრედ კაუფმანის სახელზეა დამზა-
დებული. ჰაინერი მშვიდად წრუპავს
ლუდს და მაგიდასთან მჯდარს, პი-
რველად ესმის ბეწვეულის და ძვირ-
ფასეულის შესახებ. ახალი საქონ-
ელია. მეორე დილით, იგი პოლი-
ციაში რეკავს:

— მალე მე ყველაფერს გავიგებ.
მაგრამ, ჯერ რაღაც სხვა რამ ხდე-
ბა. რას იზამ, მისი პროფესია რის-
კთან არის დაკავშირებული... ჰაინე-
რი, იგივე მანფრედი, როგორც ყო-
ველთვის, დახლთანაა მიყუდებული,
როცა მას ნელი ნაბიჯით მიუახ-
ლოვდა დრაგანი, და უეცრად იელ-
ვებს ხანჯალი, ეს 15 სანტიმეტრიანი,
ბასპირიანი იარაღი. დრაგანი მი-
აჭერს ჰაინერის ყელს დანას და კბი-
ლებს შუა სისინებს:

— აი, შენ ჩავარდი, მეძებარო
ძალლო.

დაბნეულობის რამდენიმე წუთი.
ასეთ შემთხვევაში, ჯერ შიშს უნ-
და მისცე გასაქანი, ხოლო შემდეგ
კი ღრმად ამოისუნთქო, — ყველა
აგენტი.

— ეი, ოსტატო, შენ რა, სულ შე-

იშალე კკუაზე? თუმცა, დარწმუნ-
ებული თუ ხარ იმაში, რომ მე მეძე-
ბარი ძალდი ვარ, მაშინ მიდი და გა-
მომჭერი ყელი.

დრაგანმა დანა დაუშვა.
— ჩვენ უბრალოდ გვიხდოდა შე-
გვემოწმებია, ხომ არ გვაბნევ შენ.

ამგვარად, საბრძოლო ნათლობა
უქანაა. რამდენიმე საათის შემდეგ
ჰაინერი გეზულობს, რომ დრაგანის
ერთ-ერთი მეგობარი ეძებს ვინმეს,
ვინც იყიდის ტყავის პალტოებითა
და ბეწვეულით გატენილ ფურგონს.
გარიგება ხვალ საღამოს შედგება.
მაგრამ იქ უეცრად გაჩნდება პო-
ლიცია, დრაგანსა და თახამონაწი-
ლებს დააპატიმრებენ. და, შესაძ-
ლოა, ისინი ჯერაც თავს იმტყრევენ,
იყო თუ არა ის ხურო მანფრედი,
მართლაც ესოდენ უმწიკვლო.

ჯერჯერობით, ჰაინერ ბ-ში განსა-
კუთრებული პრობლემები არ გამო-
უწვევია ცხოვრებაში მრავალნაირი
როლებების შესრულების აუცილებ-
ლობას.

— მე, როგორც მსახიობი, შეგ-
ძვრები ჩემს ახალ „მე“-ში. ხოლო,
შემდეგ თავით ფეხამდე გავხდები
ის, ვისაც ვთამაშობ.

— ჰაინერ, კი მაგრამ, ეს ცხოვ-
რებაა? მხილების მუდმივი საშიშ-
როება... სახეში კასტეტის დარტყმის
რისკი. განა შენ თან არა გდევს ში-
ში, რომ ვინმე მოინდომებს შური
იძიოს, გაგისწორდეს? და ყოველივე
ამისთვის — თვეში 3 900 ფრანკი...

— ყოველთვის უნდა შეგვეძლოს
თავის დაჭერა. — ამბობს იგი. —
მაგალითად, უნდა იცოდეს, რომ ათა-
სი იმათაგანიდან, ვინც შენ პისტო-
ლტით გემუქრება, ნამდვილად
მარტოოდენ ერთი თუ შესძლებს
ჩახმანის დაცემინებას. ხოლო, მთა-

ვარია შეგეძლოს გადაიტანო ნების-
მიერი დატვირთვა.

ამიტომ, იგი ათლექტიზმის კლუ-
ბში ვარჯიშობს. დაწოლილი უჭერს
160 კილოგრამს. მოდუნდება იო-
გას დროს, ამუშავებს სუნთქვის
ტექნიკას:

— ეს შინაგანი წონასწორობისათ-
ვის.

სამსახურისაგან თავისუფალ დროს,
ჰაინერ ბ. თავის როლს შინაც ას-
რულებს. მეზობლებმა მხოლოდ ის
იციან, რომ 180 სანტიმეტრი სიმა-
ლის ეს კარგად გავარჯიშებული კა-
ცი, რომელიც მეორე სართულზე
ცხოვრობს, საღმაც „ორგანოებში“
მუშაობს. როცა კორსიკაზე, ამ ბო-
ლო შვებულების დროს, მას ჰკით-
ხეს, თუ რას აკეთებს, მან უპასუხა,
რომ სპორტულ ინვენტარს ჰყიდის.
გარდა ამისა, იგი იძულებულია
ზოპარები გამოიგონოს თავისი ცო-
ლისთვისაც, რომელთანაც ექვსი
წელია ცხოვრობს.

— დროდადრო მე მას ვეუბნები,
რომ მონაწილეობა უნდა მივიღო
პოლიციელთა შეკრებაში. ათი დღით
ან რაღაც ამდაგვარი.

მარიონ ბ., რომელიც 32 წლისაა,
მეტ შეკითხვას აღარ იძლევა.

შესაძლოა, ეს უცნაურადაც კი
მოგეჩვენოთ, — ამბობს საიდუმლო
აგენტი, — მაგრამ, მე უკვე აღარ
შემიძლია ამ იატაკქვეშა სამყაროს
გარეშე. ან მუდმივი საშონადირეო
ხომის გარეშე, რომელიც გამიჩნდე-
ბა ხოლმე დამით, სადმე მიყრუებულ
ადგილას, როცა ვხედავ მორიგ სას-
ტიკ ქელებს და ვფიქრობ: „მოი-
ცათ, ბიჭებო, მალე მე თქვენ სუ-
ყველას დღის სინათლეზე გამოგი-
ყვანთ...“

ჰაინერ ბ. მზადაა მორიგი დავა-
ლების შესასრულებლად.



ეს ცოდვა უკვე კინემატოგრაფიას განეკუთვნება, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ყოველ წელიწადს მართავდა მშვენიერ სემინარებს მოსკოვის მაზლობელ სოფელში, ბოლოშევოში მოჰქონდათ და გვაჩვენებდნენ ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ფილმებს. შიგადაშიგ იმართებოდა კამათები. ზოგი თავს იჭრიდა საკუთარი ეხით. ზოგი, პირიქით, თავს ამაღლებულად გრძნობდა. შებინდებულზე გამოვიდოდით გარეთ. აგურის ფხვნილით მომტკიცებული სასეირნო ბილიკები გადაყინული იყო. ვინც ჯერ ხამად გრძნობდა თავს, მათ აჩვენებდნენ ცნობილ ადგილებს — ეს არის ეიზენშტეინის სკამიო, ესაო, კალაქტოზოვის წყაროაო, ესაო ხატო ვაჩნაძის გასახდელი მდინარეში საბანაოლო...

იყო ბოლოშევოში საკმაოდ სოლიდური შეხვედრების სალონიც. მანსოგს, ერთხელ, დიდ ტრაპიზიტონზე ხმას ცოტა დავუწვიე. გამოიჭრა თმაგაწეწილი სქელი ქალი. — იცი, რა გააკეთე შენო? — ნაშეტანი აყვირებდნენ კოზლოვსკის-მეთქი. — თქვენნი რომელიმე „კაცო“ რომ ყოფილიყო, მაშინაც გააკეთებდნენ შავსო? აშკარად ეტყობოდა, სახე ჯხუხრდა, ვამჯობინე, დამეთმო, — შემეშალა-მეთქი, ქალბატონო, დიდ ბოლიშს მოგიხდით პირადად თქვენ. სხვა დროს აღარასოდეს გავაკეთებ მაგისთანა რამეს.

კინომსახიობები, რომლებიც ბოლოშევოში ისვენებდნენ, უნდა შეხვედროდნენ ადგილობრივ თანამშრომლებს, კიდევ — რაიონის კინომუშაკთა აქტივს, მეც ამ შეხვედრაზე დასწრების სურვილი მქონდა, ცოტა კი ვიჩქარე, არ ჩქარობდნენ ადგილობრივნი, მაინც დროზე შეავსეს დარბაზი, ვინ სად იყო მიყუდებულნი, ვინ სად. იმ დღის გვირგვინების დიდი ნაწილი დაიხვეტა პაროდიების ავტორმა ალექსანდრე ივანოვმა, მას ცოტაზე ჩამორჩა ნიკოლინი...

კიდევ კარგა, რომ ჩემს გვერდით აღმოჩნდა ბოლოშევოს სახლის შემოსასვლელის მცველი ნიკოლაი. ნიკოლაი რომ გაგეცნობოდა, რაღაც ეშმაკური ღიმილი გაუბრწყინებდა სახეს, მართლაც, მართლაც — ძალიან ჰგავდა მეფე იმპერატორს ნიკოლაი მეორეს. იჭდა სულ წყნარად, ამბობდა თავის ხუმრობებს. მისგან ჩამენერგა პირველად: Точность во всем, это вежливость королей.

ისეთი კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა ამ ნიკოლაიმ, მეორე დღეს ერთი შემწვარი დედალი ვიყიდე, კარგად გავახვევინე. წავიღე იმ ქა-

სოლოუჰოვი

რეჟისორი ინანიშვილი

თამთან ერთად მთელი ლიტრიანი ბოთლი „ჰაჰა“. ნიკოლაის გარდა ბუდრუგანაში იყო მეორე კაციც, ვიაჩესლავი. მაღალი, არისტოკრატიული თავდაპირველობის 50 წლის მწითური. ისეთი გვარი მომესმა მისი მხრიდან, მოუსვენრობა დამეუფლა, ცოტა მოვითმინე, მერე მაინც ვკითხე, — იმ ცნობილი თეთრგვარდიელის შთამომავალი ხომ არ ბრძანდებით-მეთქი. ვიაჩესლავმა გაიღიმა, — თავი დავანებოთ მაგ საკითხს ახლა, ისედაც ტომებია დაწერილი მაგაზეო. ძალიან ლამაზად დაჭრა პური, მერე ქათამი კლასიკური წესით, მერე ხმელი წითელი თევზი, „ჰაჰის“ გვერდით გააშქკრია სამი მოსკოვური ლუდი, ხავერდოვანი — იმდენ ხანს გავგიგრძელდა ეს პურობა და სმა, სამივენი კარგად ვიყავით შეზარხოშებულნი.

მე მოვყევი, როგორ შეხვდნენ ჩემი სოფელები კახეთის გზატკეცილზე მომავალ იმპერატორს. ბებიჩემი ამბობდა, — ნიკოლოზს ძალიან დარდიანი სახე ჰქონდაო. ჩვენი ნიკოლაი აწითლებული იყო, მე მაეცნობებდა: ხვალ დილას ვიცვლებით აქ, თავს უფლებას ვძლევ, დაგპატიყო ჩემს შშობლიურ სოფელშიო. აქედან არის სულ ასორმოც კილომეტრი, სადგურიდან — ოთხი-ხუთი კილომეტრი. ისე გულწრფელად მთხოვდა ნიკოლაი, მეც ისე მინდოდა რომელიმე ნამდვილ რუსულ სოფელში მოხვედრა, დავეთანხმე შევთანხმდით, ზუსტად 9 საათზე უნდა გავსულიყავით. ხელის ჩამორთმევით შევთანხმდით. ვიაჩესლავი თავისთვის ილიშებოდა. ხშირი თოვლი მოდიოდა, თბილი თოვლიაო, მიხსნიდა ნიკოლაი. აღარსად წავსულვარ, აღარ დამიმატებია არაფერი. დავწეჭი ჩემს ოთახში, ხელები თავქვემ ამოვიწყე და მშვენივრად დამეძინა.

მადვიძარა საათი მქონდა, რვაზე მეყენა, მაგრამ საათის ზარისთვის აღარ დამეძინა, რვას ოცი წუთი უკლდა, რომ ავდექი, სამი ბოთლი კახური საფერავი, ერთი ბოთლი „ჰაჰა“, მშრალ-მშრალი ნამცხვრები, ძალიან ხმელი ძეხვი... მაშინ

ყველაფერი იშოვებოდა. შენ თითო გაგეშვირა მხოლოდ მათკენ. კარგად განვეულები იყვნენ ჩაყურებულნი პატარა, უკვე სიძველის იერაქრულ რუჰაკში. ვაგონები სავსე იყო უმთავრესად ქალებით, იმათაც სამსახურები დაემთავრებინათ, ეყიდათ ხაჭოები, არაყენები, კეფირი, ეყიდათ აგრეთვე, რაღაც ფართლეული და თუკი მოესწროთ და დამსხდარიყვნენ კიდევ, კმაყოფილი თვალებით უყურებდნენ სამყაროს. ვიაჩესლავი იყო ძალიან ცხვირჩამოშვებულნი, უცებ გაგვენდო, ერთი საათით ჩავალ ჩვენს სადგურში, სანამ თქვენ პირს დაიბანთ და თმას დაივარცხნით, მეც გამოგეცხადებით სახეგაბრწყინებულნი. მე შევთავაზე, ჩვენც მასთან ერთად ჩავსულიყავით, მაგრამ ნიკოლაი გაჩქიდა, — ვიაჩესლავმა უკეთესად იცის, რაც მას გამოადგებაო, ვიაჩესლავი ჩავიდა ერთ თოვლში ჩაძირულ სადგურში. სადგურში ცხენებიც იყვნენ და ხარებიც. ნიკოლაიმ გაიიოლა, არაფერი დასჭირდება, სულ სამი კილომეტრია სოფლამდე. პატარებელი დაიძრა. ვიაჩესლავს მუცელზე ედო ხელი და ისე გვაცილებდა, რატაც ონკანთან მდგარი. ნუ გვაფიქრებს მაგისი საქმეები, პირველი საათისათვის უკვე ჩვენთან იქნება.

ნიკოლაის შევთავაზე, სულ ცოტა „ჰაჰა“ მოგვეწრუპა, მაგრამ ნიკოლაიმ არ ქნა, ოციოდე წუთში ჩვენს სადგურთანაც ვაქნებითო. გარეთ სულ თოვლები და ნისლები იყო, სამასსოვრო ორიენტირად არაფერი ჩანდა. სადგურში რომ ჩავედით, ყველა ილიშებოდა. მოვიდა ერთი წვერმოშვებული კაცი ნიკოლაისთან, გადაკოცნა, მეც გამეცნო — მღვდლის შვილი, ახლა კუჩერი. შემეძლია, სიამოვნებით წავიყვანოთ ორივენი. ნიკოლაი მოლბა, ტენდგადახურულ ფურგონში აგვიპატიუა. იქ თივა ეყარა, იმ თივას სასიამოვნო სუნის ასლიოდა, დავიძარი და წავედით. სამ ცხენს თამაშთამაშით მიჰქონდათ თითქმის ცარიელი ფურგონი. რაღაც ორმოც წუთში უკვე სოფელში შევედით, თითქოს ცოტა-ცოტას ნათლებოდა, ნისლი თხელდებოდა, ნიკოლაის მეუღ-

ლეს დაბამბული ქურთუკი ეცვა. ისე ღონივრად ჩამომართვა ხელი, თითქოს ქვის მოჭრა გეჭონდა და პირებულო. გარეთ გამოვიდნენ ბავშვებიც. ჭა გაყინული ჰქონდათ, მეზობლებისაგან მოჰქონდათ წყალი, სწრაფად დაგვაბანინეს ხელ-პირი. წინაკარიდან ნამდვილ სახლში! ისეთი სითბო იყო, ცხელოდა კიდევ. ნიკოლაის მეუღლე უკვე სუფრას შლიდა, ჩაჩუნობდა ნიკოლაის დედაც, პელაგია. გვიყურებდნენ ბავშვები რაღაც თავისებური შიშით. მე ვკითხვე: აბა, თუ იცით, ვისა ჰგავს ცნობილს თქვენი პაპიკო ნიკოლაი. ბავშვებს სიცილი აუტყდათ. იმათაც ყველას სტოდნოდა, ვის გამსგავსებდით ნიკოლაის.

მიგვიწვიეს სუფრასთან, დაგვსხეს. ჩემი რუკაზაკი უკვე დაცარიელებულიყო, ძალზე თეთრ სუფრაზე მათლავებით ვწყო მოხარული ხორციები, საქონლისა ცალკე, ღორისა ცალკე. ეწყო ჩათმებიც, თევზიც, ჩამოყურებული სოკოებიც, კარგი ელფერის მწნილებიც. მე ვითხოვე, ბავშვებიც მოეყვანათ სუფრასთან, ისინი უკვე დანაყრებულნი არიანო, ჩვენ საკუთარ თავებს მივხედოთო. დავიწყეთ და დიდად ვისაძოვნეთ ხორცში შემწვარი კარტოფილებით. მერე-ვის რაც სურდა, იმას მიირთმევდა, მერე არაყზე ხომ ყველა გავთავისუფლდით, ნიკოლაის ცოლი ამბობდა სადღეგრძელოებს, თანაც სულ ღიმილით. მე ჩემი კახური საფერავი მოვიკითხე. ნიკოლაიმ კოპები შეიკრა, მაგრამ მაშინვე ავხსენი, ეგ სამი ბოთლი საფერავი მოყვანილია ჩემს მიერ მდინარე ივრის პირას. გორაკზე, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნეში თვით შაჰ-აბაზ ღიმი იდგა და ღილ ალახს მადლობას სწირავდა, რომ ამ მშვენიერ გორაკზე ის იდგა. ქართველებს კი ჯერაც ისევე ეძინათ. ქალები, სანამ საფერავს შესვამდნენ, ჭიქა ლოყაზე მიჭერილი ეკავათ. მოვიდა მეზობელიც, მოიტანა სანთლის არაყიც. მე თავი შევიკავე — შეორედ


რომ ჩამოვალ, მაშინ დავლევ-მეთქი. მივცეთ მაგისი უფლებათ! ბრძანა ნიკოლაიმ. მოგვართვეს ვაშლის ნამცხვრები. ეს მართლა კარგი რამ იყო.

სამი საათისთვის ეკლესიაში წავედით. თოვდა, ისევე კარგად თოვდა. უცნაურობა იყო თეთრ თოვლში ფერად-ფერადი სამოსები და თავსაბურები. თვითონ, ეკლესია ხომ, შიგნით, საესე იყო ათასგვარი ფერადი შეწირულებებით — ყვავილებით, ქალთა სამკაულებით, ხატებით, რა თქმა უნდა, იაფი ხატებით, შანდლებით, ფეშუმებით და ვინ იცის, რით ალარა. მღვდელმა, როგორც მისთვის უცხო, ტკბილად მკითხა: — არ მოგწონს, არა, ეს ფერად-ფერადები, შიგ ეკლესიაშიო. მე გაეუღიმე, — ეტყობა, ჩემი გული სწორედ ასეთ ფერებს ამჯობინებს აქამეთქი — აი, ყოჩაღო! რაღაცა ჩაახხა ფეხიან პატარა ჭიქაში და დაძაღვივინა. მე მივხვდი, რაც იყო — ჯადოქართა მღვდელი ხელს მიქნევდა გამომშვიდობებისას.

გარეთ გამოსულებს ვილაცეები დაგვხვდნენ, ქალებიც და კაცებიც. სულ ორიოდე წუთით უნდა დაგვნებდეთო. შეგვიყვანეს პატარა ოთახში, აქ გორა იდგა სეფისკვერების, ბლითების, ბლინებისა. ქალებმა დაგვისხეს არაყი, დავლიეთ, გაიხარეს. ნაღვგრძელები იქნა ხალხთა მშვიდობა მთელ დედამიწის ზურგზე. თითქოს არაყს საკმევლის გემოც დაჰკარავდა. ვიყიდეთ ვერცხლის პატარა ჯვრები, მედალიონები. წამოვედით ნიკოლაის სახლში. სად მიდიოდა იმოდენა ხორცი და კარტოფილი! ექვსი საათისათვის ავდექით, ვჩქარობდი, უნდა მოსკოვში დაებრუნებულიყავი, რაღაცეები გამიხვია ნიკოლაის ცოლმა, გზაზე სული არ ამოვიდეს შიშშილითო. წამომყვა ნიკოლაი, მისი ნაბიჯებით მივალაჭებდი სადგურისაკენ. უკვე შედამებული იყო, მხიარული ხმაური მოგვდიოდა ნისლების მხრიდან. ეგენი ჩვენი მეზობელი სოფლები არიან

ნო. საგუნდაოდ არიან გამოსულე-ბო. ძალიან მომინდა ახლოდან შენახა ეს გუნდაობები. დაგვინახეს. სულ გადათეთრებულნი იყვნენ თოვლისაგან — გოგოებიც, ბიჭებიც. დაგვიშინეს და რა დაგვიშინეს! ჩვენც მოვიგიჟიანეთ თავი. თითო ჩვენგანს ოთხი-ხუთი გოგო უტევედა, რომ გაიგეს, მე ქართველი ვიყავი, აყიჟინდნენ. ეს როგორ ვხვდებით სამხრეთელ სტუმარსო. წამაქციეს თოვლში. ერთმა მაკოცა, მეორემ, მესამემ. აუუ! ყოველ კოცნას ვიმასხვობდი. ცივ თითებს, ცივ მოყებს და ცივი ტუჩებით კოცნას. მოვიდნენ ყვირილით ბიჭები. დაცოცხეს გოგოები, არაყი მოიტანეს და ვაშლის ნამცხვარი. ნიკოლაის უნდოდა, — მთვრალი ხარ, მატარებლითაც გაგაცილებო. მე გადავირიე, შორს დავიჭირე ასეთი გაცილება. გადავკოცნეთ ერთმანეთი. გავიხსენეთ ვიარესლავი, გაგვეცინა. მე ვამბობდი, რუსეთის იმპერატორისათვის მიკოცინა-მეთქი. ხომ შემძღოლო თქმა, ჯერ ისევე შუადღე იდგა-მეთქი მოსკოვში. წავედი თავისებური ბრძოლით. როგორც იქნა, ჩავედი ბოლო შევოში. იქ ორი სხვა მორიგეობდა. დამიძახეს, ცოტა-ცოტა იაშქასპინძლებოდნენ, მე არ გქენი ეს. წავედი. ჩემს სუფთა ლოგინში შეძახდა ფეხებიც და თავიც. რომ გამეღვიძა, თოვა შეწყვეტილიყო, მზე ჩახჩახებდა, ჩავედი დაბლა, ვიარე, ერთ ბორცვზე ავედი და იქიდან ვიყურებოდი. რა არის ახალგაზრდის გული!

ღიმი იყო. ძალიან ღიმი ქვეყანა. მე მის ცენტრში ვიდექი, თანაც მაღლა და წმინდა ჰაერში. ჩემს წინ ძახველის ბუჩქები იყო. სულ ახლოს ორი ნისკარტმარწუხა მოფრინდა. ხან ერთი მომხვდავდა, ხან მეორე. რამდენი წელიწადია გასული მას შემდეგ. თითქოს მიცინოდნენ ნისკარტმარწუხები. წელი იყო 1962. ჩიტებს მართო ნისკარტები არ ჰქონდათ ერთი აქეთ მობრეცილი, მეორე იქით. თვალებიც — ერთი იქეთ გაურბოდათ, მეორე — აქეთ. მოგვიქცივენ ზურგებს და მაღლა ასწევენ ბოლოებს. მაინტერესებს, მართლა ეგეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ნისკარტმარწუხები? მოგზავნილები ხომ არ იყვნენ? ყველაფერი ხდება ათასწლეულების ბოლოს... მაშინ მოსკოვის ძახველის ბუჩქებზე დაკოპწიავებული ნისკარტმარწუხები აღვილად მაცინებდნენ და შეცინებოდა, კბილი არ მაკლდა არც ერთი და ვიციხოდი და ვიციხოდი...



ოკ, ეს ჭირვეული გუნდარკინდი!

17 წლის დიდოსტატი გაბა ქამსკი, რომელიც ხან დიდი წარმატებით თა. მავროს, ხან კი ძალიან მარცხიანად, ახლა ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდა მორბადარბამ ითვლება. მისი მამა და მშობთელი რუსტამ ქამსკი ირწ. მუნება, რომ იგი აუცილებლად განდებ. ბა მსოფლიონ ჩემპიონი. ზოგი ამას ირონით უწოდებდა, ზოგს კი, პირიქით, სჯარა ბატას დიდი ტალანტიანა. აი რამდენიმე ნაშუაგები გაბა ქამსკის ინტერვიუდან, რომელიც ამერიკულ ჟურნალ „ინსაიდ ჩასში“ გამომკვენდა:

— როგორ აღმოჩნდით ამერიკის შერეობულ შტატებში? (გაბა ადრე ლენინგრადში ცხოვრობდა).

— სხვადასხვა სიძნელეების შემდეგ ჩვენ ამერიკის შერეობულ შტატებში მიგვიწვიეს. აქვე დავჩრით. ეს შეიძლება ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც მომხდარიყო. მე მინდა მსოფლიო ჩემპიონი გახდებ, ასეთი მიზანი დავისახე. ის ქვეყანა, რომელიც ჩვენ ბინას მოგვცემს, ჩვენი სახლი გახდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მისთვის, სიკეთეს არ დავუფიქვებთ. დიდ სიძნელეებს ვაწყდებით, განსაკუთრებით კასპაროვის მხრიდან. მან სპეციალურად მოაწყო დიდოსტატების ტურნირი მოსკოვში, რათა მე არ მეთამაშა. მე ვიწა არ მომცეს, რა თქმა უნდა, არც მამაჩემს. ის რომ მოსკოვში წახულიყო, ხელს სტაცებდნენ და ცინეში მოათავსებდნენ. ასე მომიშორა თავიდან კასპაროვი. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ კასპაროვი აღარ არის დიდოსტატთა მსოფლიო გაერთიანების პრეზიდენტი.

— ერთი სიტყვით, კასპაროვი ძალიან ცუდი კაცია?

— რა თქმა უნდა, მან ყველგან შეუძლია წყლის ამღვრევა. ყველაფერს აკეთებს. რომ

ჩვენ დღაზე არ შევხვდეთ. მე ვიბრძვი ჩემი უფლებებისათვის. მინდა ახლავ ვითამაშო კასპაროვსა და კარპოვთან, და არა რამდენიმე წლის შემდეგ. კასპაროვი კი ყოველთვის შეგნებულად გვმტრობს. მან ძალიან კარგად იცის, რომ მე სრულყოფისათვის ძლიერ ტურნირებში თამაში მჭირდება; მაგრამ სხვადასხვა იდეების გამოყენებით ყოველნაირად მიშლის ხელს.

— და მაინც დღისათვის ნათელი არ არის; დარჩებით თუ არა საცხოვრებლად ამერიკაში?

— ჭადრაკს ამერიკაში დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, მაგრამ მას არახწორ მიმართულებას აძლევენ. ადამიანების პატარა ჯგუფი სხვებს ძალიან უშლის ხელს; ფულიც უაწროდ ისარჩება. ამერიკაში ცოტას აკეთებენ მოჭადრაკეების გულიანათვის, არ ესმით, რომ მათი წარმატებები გამოაცოცხლებენ ინტერესს ჭადრაკისადმი. ამერიკის შერეობულ შტატებში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ მათთვის ხელს არავინ აწყობს. მისი საჭადრაკო ფედერაცია თავის მოქმედებით მსოფლიო აუარჩებს მდგომარეობას. ისეთი ადამიანები, როგორიც შამკოვიჩი და დლუგაია, ჩვენ ანტისემიტისტობას გვაბრალდებენ. ეს მტკნარი სიტყუა. ლენინგრადში ვლადიმერ ზაკი მესმარებოდა, სპასკის ყოფილი მწვრთნელი. იგი, ებრაელი, ჩემი პირველი მწვრთნელი იყო. ოსტატმა ვლადიმერ კრამინოვმა, ასევე ებრაელმა, ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის. აქ, ამერიკაშიც, მესმარებოდნენ ებრაელები — ლევ ალბურტი და ალან კაუფმანი, ამერიკის საჭადრაკო ფონდის დირექტორი. ჩვენ ვადარებთ კიდევ ამას. ჩვენი ანტისემიტოზმი კასპაროვის მიერ არის მოგონილი.

დიდოსტატის შამა — რუსტამ ქამსკი თვლის, რომ მისი შვილი უკვე ახლა ყველაზე ძლიერი მოჭადრაკეა მსოფლიოში.

— ესპანეთის ტურნირის დროს. — თქვა

რუსტამმა. — ჩემგან ინტერვიუ აწერბიან. მის ტელევიზიის წარმომადგენლებმა აიღეს (ამ დროს კასპაროვი ჯერ კიდევ ბაქოში ცხოვრობდა). მათ მკითხეს, ხომ არ გვეშინია კასპაროვთან თამაში? მე ასე ვუპასუხე: „ჩვენ ერთნელ უკვე შევხვდით მას. არც თუ დიდი ხნის შემდეგ, მეორედაც შევხვდებით, ამჯერად მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის ბრძოლაში. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი გასრებს მას, დაბ, სწორედ გასრებს“. ჩემმა პასუხმა ისინი ძალიან გაანაწყენა.

ქამსკები ფიქრობენ, რომ ამერიკაში გატას ძალიან ცუდად ემხარებიან, რათა ამ ქვეყანას საჭადრაკო გვირგვინი მოუპოვოს და ფიქრობენ სხვა ქვეყანაში გადასახლება.

— თუკი ისე მოხდება, რომ გაბა ვერ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას, — ამბობს რუსტამ ქამსკი. — ეს იმითმ კი არა, რომ მას საამისო ნიჭი არა აქვს. ეს იმითმ მოედება, რომ ჩვენ უცხო ქვეყანაში ვცხოვრობთ. სადაც ჭადრაკს ფინანსური მხარდაჭერა არა აქვს. ჩვენ რომ სათანადო პირობები გვქონდეს, გაბა სრულიად იოლად მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები წერენ, გაბა ყოველდღიურად 14 საათს მეცადინეობს.

— ჩემი შვილი თეატრში არ დადის, არც კინოში. — ამბობს რუსტამ ქამსკი. — არც ტელეგადაცემებს უყურებს, არც პლას ეწვივა ხოლმე. ჩვენთვის მთავარი მსოფლიო ჭადრაკია.

ამავე დროს ისიც ცნობილი გახდა, რომ მამამ გადაწყვიტა შვილი ერთ-ერთ ამერიკულ უნივერსიტეტში შეეყვანა. რახან გატას საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი არა აქვს, რუსტამმა საამისო ყალბი მოწმობა იყიდა... ნი დოლარად! იოლად დაადგინეს, რომ დოკუმენტი ყალბი იყო და გაბა უნივერსიტეტში არ მიიღეს.

გივი გამრკაელი

ფოტო ბონლო და დავაძისა



ბულმოყსალაბა

დალუპული თვიმჭრინაწი-
დან ფეხბურთელები სამოთხის
კარს მიადგნენ, მაგრამ წმინ-
და პეტრემ არ მიიღო.

— სამოთხეში ფეხბურთე-
ლების ადგილი არ არის, ჯო-
ჯოხეთში მიბრძანდითო.

დაღვრემილი ფეხბურთელე-
ბი წანტად გამობრუნდნენ
უკან და აი, უცებ წმინდა პეტ-
რემ გასძახა:

— თქვენი ცენტრალური
თავდამხმეილი მანდ არის?

— აჟა ვარ, მამაო, — მიუ-
გო ფორვარდმა და მიიბრინა.

— შენ შეგიძლია, შეიღო,
მოსვიდე, — აღერსიანად გა-
დაუხვა თავზე ხელი პეტ-
რემ. — მე შენს ბოლო თა-
მას ვუყურებ და დავრწმუნ-
დი, რომ ფეხბურთელი არა
ხარ...

საპვედუორი

წარმოგიდგენია, ჩემი საქმრო
მუდამ გაუპარსავი მხედება
პაემანზე, — შესჩივლა ინერწამ
მეგობარ ქალს.

— შენი ზრალია. ასე დიდ-
ხანს არ უნდა აღოღინო.

კოლიკლინიკაში

— ექიმო, მხედველობა ნაშ-
დვილად გამოუჭოხებხდება, თუ
უფრო მეტ სტაფილოს შევჭამ?

— რა თქმა უნდა. გინახავთ
როდისმე სათვალისანი კურდ-
ღელი!

სიზარის ნიშანი

— ხედავ, ჩვენი ოტო რო-
გორ დაბერდა, — უთხრა
ფრიცმა მეგობარს, — ჯერ შე-
ნიუს შეათვალეირებს სოღმე
და მერე ოფიციალტ ქაღს.

მრჩველმბი

— სერ, ჩემმა ცოლმა მიხს-
რა, ხელფასის მომატება გთხო-
ვოთ, — ამცნო კლერქმა.

— კარგი, ამ საკითხზე ჩემს
ცოლს მოველაპარაკები, —
მიუგო ბოსმა.

ბულაბდილოვა

— ო. ღროიდან ტრუდე.
თქვენ პირველი მომხიბლავი
არსება ბრძანდებით. ვისაც
დღეს შევხვდი.

— მაშ, თქვენ ჩემზე უფრო
ხედნიერი ყოფილხართ.

სიფრთხილე

— არ არის საჭირო პირის
აგრე ფართოდ გაღება. —
უთხრა კბილის ექიმმა პაცი-
ენტს.

— თქვენ ხომ მითხარით,
შიგ ხარკე და ინსტრუმენტები
უნდა შევიტანოო.

— მაგრამ მე თვითონ ხომ
გარეთ უნდა დავრჩე!

აწრთაღ მბმთხმამვა

— ჩემი ბიჭი ყველაზე ბე-
ჯითი მოსწავლეა მთელ სკო-
ლაში.

— შეუძლებელია. ეს მხო-
ლოდ თქვენი აწრია?

— არა, ჩემი ბიჭიც ამასვე
ამბობს.

მეოგზაღების საუბარიღან

— საქმე ის გახლავთ, დი-
დად პატივცემული, როცა შე
და ჩემი ცოლი წავიჩხუბებთ
სოღმე, დამსწრე არავინაა, ბავ-
შეებს გარეთ ვუშვებთ, რომ
არ მოისმინონ.

— ამა! ახლა ჩემთვის გასა-
გებია, თქვენი ბავშვები სულ
მუდამ ქუჩაში რატომ არიან.

თაღბარიბი

— უკვე შეატყობინეთ რეა-
ტორის დირექტორს ჩემი მო-
სვლის ამბავი? — ჰკითხა რე-
ვიზორმა მიმტანს.

— რასაკვირველია. იგი ნა-
ხევარ საათში დაბრუნდება.

— ხად წავიდა?

— ცოლ-შვილთან გამოსა-
მშვიდობებლად.

საბრალლო მინიკონამბი

ბროფანდორი: — რა შეგი-
ძლია აქვით მეთვრამეტე ხაუ-
კუნის ქიმიკოსზე?

სტუდენტი: — ისინი... ისი-
ნი ყველა გარდაიცვალა.

თარგმნა
ზოთა ამირანაშვილი

დავინყაბული სასალაბი

„თაგარიანის“ ავტორის უოგნაკა

გედეონ გუგუნავა ჩვენი
საუკუნის პირველი ნახევრის
პოეტია. დაბადებულია სოფელ
ხორში (სენაკის რაიონი). მისი
ლექსების წიგნი „ოქროს გან-
თიადი“ 1928 წელს გამოუცია-
თ თბილისში.

ეს წიგნი საქმაო წარმოდგე-
ნას უქმნის მკითხველს ავტო-
რის პოეტურ შესაღლებლობაზე.

წიგნის ყდაზე ასეთი ცნობაა
დასტამბული: იბეჭდება გედე-
ონ გუგუნავას ახალი პოემა
„უტუ მიჯავა“, მზადდება პოე-
მები და კინორომაანი „დაღვრი-
ლი სისხლი“.

ეტყობა ეს წიგნები არ გა-
მოცემულია, რაკი არ ჩანს „ქარ-
თული წიგნის ბიბლიოგრაფია-
ში“, ლექსების კრებული „ოქ-
როს განთიადი“ კი იმ დროი-
სათვის სოღიდური ტირაჟითაა
გამოცემული (8 000 ეგზემპ-
ლარი).

ლექსები საქმაოდ კარგ შთა-
ბეჭდილვებს სტოვებენ. პოე-
ტისათვის განსაკუთრებით ახ-
ლობელია სოფლის თემა.
ღრმად და მტკივნეულად გა-
ნიცდის ნაცნობ ადგილებს. ხა-
ტავს დაუფიწყარ პეიზაჟებს,
ელლოლიავება მწვანედ გადაბი-
ბინებულ ყანას, გრძნობს პუ-
რის მკას და ხაღებავს არ აკ-
ლებს ბავშვობაში დანახულ
დილა-საღამოს.

მისთვის უცხო არაა სატრ-
ფიალო ლირიკაც — თბილი,
ადამიანური გრძნობებით ვა-
ჟდენთილი. ასე, მაგალითად,
„თოვლიანი დღე წაღვერში“,
„თეონა“, „როიალთან“ სატრ-
ფიალო ლირიკის მშვენიერი
ნიმუშებია.

ცნობილი ირანისტი, პროფე-
სორი დავით კობიძე სამოც-
დაათიან წლებში გამოცემულ
მოგონებების წიგნში წერს:

— ტერენტი გრანელი და მე
გედეონ გუგუნავას ხშირი
სტუმრებიც ვყოფილ ვართ.
ზოგჯერ დამითაც ერთად და-
ვრჩენილვართ. მან ვერცხლის

ქუჩაზე ერთი პატარა ოთახი
ეკირა. იქიდან შემდეგ ორთა-
ქალაში გადავიდა. თბილისის
ქუჩებში ბევრჯერ ერთად გვი-
ხეტიალია. კარგად ესმოდა
ჩვენი დროის პოეზია. თურმე,
საინტერესო ლექსებს თხზავ-
და, არკი გვიმხელდა. რამდენ-
იმე ხნით ჩემს სოფელში და-
ვბრუნდი და გაზეთებში, გან-
საკუთრებით „ახალგაზრდა კო-
მუნისტში“ ვკითხულობდი მის
ლექსებს. გედეონ გუგუნავას
ლექსებს მწერალთა კავშირის
ორგანოებიც ბეჭდავდა („მნა-
თობი“, „ქართული მწერლო-
ბა“). გაზეთებში მისი შემოქ-
მედების შესახებ მაქებარი წე-
რილებიც ქვეყნდებოდა. იგი
არ იყო ცნობილი „თამარი-
ანის“ ავტორის — სიმონ გუ-
გუნავას შთამომავალი. გედე-
ონი სამეგრელოდან გახლდათ,
სიმონი — გურიიდან. ჩემთვის
გაუგებარი მიწეების გამო,
გედეონ გუგუნავამ მოულოდ-
ნელად შეწყვიტა წერა. ასე
რომ არ მომხდარიყო, იგი უტე-
ველად შერჩებოდა ქართულ
პოეზიას...

რადაც დაუჭრებელია, რომ
ამ ნიჭიერ და მოაწროვენ კაცს
წერა საშუადამოდ შეეწყვიტა.
იქნებ ასეთი დიდი იმედებით
დაწყებულმა ახალმა ცხოვრე-
ბამ რომ არ გამართლა და
ვერანაირი განსაკუთრებული
სიკეთე ვერ მოუტანა ხაღსს,
რბვისა და დაუფასებელი
შრომის მეტი, გული აუტრია
პოეტს და გზა-კვალი აუხსნია.
სახობო ველარაფერი დაწერა
და აღარც შეუწუხებია შურ-
ნაღ-გაზეთების რედაქციები.
არადა, კარგად არის ცნობილი,
როგორ აცდინა პოეზია თა-
ვისი განვითარების ნორმალურ
გზას ეგრეთწოდებულმა სო-
ციალისტური რეაღმისის
ყხადაღებულმა ქადაგებამ.

შალვა ამინაშვილი

ვიწყო შეხვედრას კულა

არტურო ტოფანელი



„აუჭერბელი იყო, რომ ჩერ კიდევ ახალგაზრდა, გოლიათური აღნაგობის მქონე, ჯანლონით ხავსე ხაზანი ეჩისტო, მტახხელად „ვიწრო ფეხსაცმელი“, ასე მოულოდნელად გარდაიცვალა... თანაც თაჭის მკვიდრთა დღეგრძელობით განთქმულ სოფელში, სადაც ოთხ-მეც წლამდე ადრე სიკვდილი სძარხნიდა კი იყო, დასაფლავებას მთელი სოფელი ეხსრებოდა.

სახფლადან როცა ბრუნდებოდნენ, თანასოფელიელები იგონებდნენ, თუ რა პატრონისა იყო და სამაგალითო ოჯახის მამა იყო ეს მუდამ მხიარული ეჩისტო, მთელი ცხოვრება დაუღალავ შრომით რომ გაატარა, ისევე თვალწინ ედგათ თავის ვიწრო ფურწეში, წელამდე შეიწველი. კუნთებზე ღუშელში მოგზავნიერ ცეცხლის ანარეკლი დასთამაშებდა. ირორავებდა თუ არა, უკვე ფეხზე იყო და გამვლელ-გამომვლელს გულითადად ესალმებოდა. ყველაფერს თვითონ აკეთებდა: საფუარს ღვამდა, ცომის ზელდა, აცხობდა და ყიდდა პურს. მსოფლივ ათ საათზე, როცა ფურწეში მის დასამზარებლად ცოლი ჩამოდროდა, ეჩისტო ცოტას შეიხვეწებდა, გავიდოდა სამზარეულოში და ცხელ კერის კაბრსა და ქარსა-

დას შეატანდა. ზედ ხაყუთარი ვენახის ღვინოსაც დააყოლებდა.

ახლა ვეღარახადებს იგუშებს თავისი ფოლადის კუნთებით მაგრად მოწველილ შუბრწულ პურს. ურწმუნონი წყველაკრულვას უთვლიდნენ წმინდანებს, რომლებმაც ასეთი უსამართლობა ჩაიდინეს.

და არავის მოსვლია აზრად, გახხენებოდა ის დიდი ნაკლი, „ვიწრო ფეხსაცმელს“ რომ მქონდა, ნაკლი, რომლის გამოც ხშირად გაუჭორავთ და უთქვამთ, ერთი მაგის ხიკვდილს მოგვასწროს, მოესწრნენ კიდევაც.

ნაკლი ეჩისტოსი, რომელიც ყველას მეგობარი იყო, ერთ-თავად იღიშებოდა და თავი შორს ეჭირა პოლიტიკისაგან. აქაოდა მტრები არ გავიჩინოო, — იყო ხიძუნწე, ბევრის აზრით, თავის ცხოვრებაში ერთხელაც არ გაუხხინია საფულე, ნავაშმევს ისე, როგორც ყველა, ადგილობრივ კლუბში მიდიოდა: ოხუნჯობდა, იცინოდა, მღეროდა. მაგრამ კაპიკის დახარჯვის უფლებასაც კი არ აძლევდა თავს, თვალში რომ არავის სცემოდა მისი კრიჟანგობა, ახერხებდა, მთელი ხალხს არც არაფერი ესვა, არც არაფერი ეტამა, არც თამბაქო მოეწვია, არც ბანქო ეთამაშნა.

— დღესაც ვერ გავაგებობნენთ კაპიკი „ვიწრო ფეხსაც-

მელს“. — ამბობდნენ კლუბიდან გამოსვლისას მისი მეგობრები.

თავისი ხელმოკერილობის წყალობით ეჩისტომ სახლი წამოვიდა. მის უკან პატარა მიწის ნაკვეთი მქონდა და ცოლ-შვილის დახმარებით ამუშავებდა.

— ახლა „ვიწრო ფეხსაცმელს“ აღარაფერი აკლია, — ამბობდა ხალხი. — პურს თვითონ აცხობს, დანარჩენს კი მიწა აძლევს. მართო მარილის ყიდვად თუ უხდებოდა.

მეტახელი ეჩისტოს შეარქვეს ფეხსაცმლის გამო, ოცი წლისამ რომ იყო. ცოლი როცა შეირთო, ფეხსაცმელი ძალიან ვიწრო მქონდა და სასტიკად უჭერდა. ლამის ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა. ქორწილის დღეს ისე გამწარდა, რომ შემდეგ მთელი კვირა დაბინტული ფეხებით იწვა ლოჯიწი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვა ფეხსაცმელი არ შეუძენია. დღესასწაულებზე ისევე კოჭლობდა და იტანჯებოდა.

— აბა, რა ვქნა, — ამბობდა იგი. — ხომ არ გადავყრი ახალთახალ ფეხსაცმელს?

როცა სამგლოვიარო პროცესიამ სოფელს მიაღწია, ზარების რეკვა ატყდა.

— უკვე შუადღია, — თქვენს ქალებმა და თავთავიანთი სახლებისაკენ გასწიეს, რომ კერიებში ცეცხლი გაეჩაღებინათ, კაცები კი კლუბში შეიკრიბნენ, რადგან ნახევარი დღე უკვე დაკარგული იყო და ხამუშაოდ გახვლა აღარ ღირდა. თამაშობდნენ ბანქოს, წრუსავდნენ ვერმუტს და „ვიწრო ფეხსაცმელი“ აღარც აგონდებოდათ. ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა დაუჭერბელი ამბავი უნდა დატრიალებულიყო ხულ ცოტა ხნის შემდეგ.

ბორცვებიდან უკვე ბინდი წამოვიდა, როცა ხაოცარი რამ მოხდა: კვიპაროსების ბეივანში „ვიწრო ფეხსაცმელი“ გამოჩნდა. იგი სასაფლადან ბრუნდებოდა. მინდორში მომუშავე მოქამაგირებმა ორთი თებე დაყარეს და საშინელი ყვირით მოკურცხლეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბეივანთან მთელი სოფელი შეიყარა. უკვე აღარავის ებარებოდა ეჭვი: ის, ვინც უახლოვდებოდა და გაშმაგებით იქნედა ხელეხს, ეჩისტო იყო. მისი ცნობა ხი-

რულზე მაინც შეიძლებოდა — მოდიოდა და ტყვილისაგან იმანებოდა. რასაკვირველია, ისევე უჭერდა ფეხსაცმელი. მეგობრები რომ ერთი ვაი-ვაგლახით აცემდნენ, სანამ კუბოში ჩააწვედნენ, ფიქრობდნენ, მორჩა, ახლა უკვე აღარ გაიტანჯებოა. უცებ ყველამ დაინახა, რომ იგი შედგა, ფეხსაცმელი გაიხადა, ხელში დაიკავა და ხიჩბილით წამოვიდა იმათკენ. ვინც უფრო გახედული აღმოჩნდა და მის შესახებედრად დაწინაურდა.

— ჩემი კუნთები გამომაღდა, ცომის ზელაში რომ გამოვწვრთე — ერთი დარტყმით გამოვანგრიე კუბო, — სიცილის ეუბნებოდა ეჩისტო გარს შემოსხვეულ მეგობრებს.

შინ მიაცილეს, გამოემშვიდობნენ და უთხრეს: აბა, შენ იცი, კარგად დაიხვეწეო, ეჩისტო ისე შესანიშნავად გრძობდა თავს, თითქოს არაფერი შემთხვევოდეს. მოცივი ვაღერ ექიმო და მღველი, მაგრამ მათ აქ უკვე აღარაფერი ესაქმებოდათ. ხაერთო ხმაურში უცებ ვილაცამ ომბიანად შესძახა:

— შენზე მაღარიჩია, ეჩისტო! დაგვაღვევინებ ღვინოს? მაგრამ ეჩისტოს პასუხი არ გაუცია...

როგორც კი სახლში შევიდა, ერთმა უსიამოვნო აზრმა ჩაუმწარა ეს დიდი სურვილი.

— ბევრი დაგვხარჯა? — ბკითხა ცოლს. — იმედია არ გაგინავებია ფული, ხომ იცი, ყოველთვის დინჯი კაცი ვიყავი.

— ნუ იფიქრებ ამაზე, ძვირფასო. თანაც არაფერი ვცნა, ყველაფერზე შენმა ძმაკაცებმა იზრუნეს. ისე კი, რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზად კი დაგასაფლავეთ.

— ლამაზადო? ალბათ კატაფაქიც იქირავეთ, და, ვინ იცის, ორკებტრიცი ფურჩიკოს ორკებტრი ხომ არ მოგაწყვევით? ორკებტრი კი არა, არამაზადების ხანდა, ხაყვირებში ყოველ ჩაბერვაზე ფულს თხოულობენ.

— მო, ორკებტრიც გყავდა, მშვენიერ მარშებს უკრავდა. ომ, ეჩისტო, ნეტავი შენი თვლით დაგენახა, როგორ მოთქვამდა ყველა.

— რამდენი აგაფცქვენს იმ ყარალებმა?

— არ ვიცი. ჩერ-ჩერობით მხოლოდ ღურგლიხსაგან მივიღე ანგარიში.

მან უჭრა გამოალო და ანგარიში გაუწოდა. „ვიწრო ფენსაცემელი“ გაფითრდა. მისმა ცოლ-შვილმა პირველად ნახეს მუდამ მშვიდი კაცი ასეთი გაგულისებულს. ძალიან შეწუხდნენ და შეშინდნენ, კიდევ არაფერი მოუვიდნენ.

— სალხანები, ავაჯაების ხედავთ? დარდისაგან გაოგნებული ქვრივის მოტულება მონდომეს!

ცოლი და შვილები ამოადებენწოდნენ, დაწყნარდნენ. ის კი თავისას გაიძახოდა. ბოლოს გაშმაგებულმა კარი გამოალო და გარეთ გავარდა.

თითქმის მთლად ჩამონენდა. ლილისფერ ნისლში გახვეულ ბორცვებს დაისხის ვარდისფერი ანარეკლი ეცემოდა. ღურგალი შალაშინიდან ამოყრილი წვრილი ბურბუშელით ცეცხლს უკიდებდა ჩიბუხს. ეჭისტომ არც აცია, არც აცხენლა, მიეჭრა და საყვედურებით აავსო:

— აი, თურმე, როგორი ძმა-კაცი ყოფილხარ ჩემი. დამიხედეთ ძველ მეგობარს! ნაძვის კუბო გააკეთა, ჩემს ცოლს კი მუხის კუბოში თხოვს ფულს. და თან ხევდიანი ხმით დასძინა:

— ნეტავი, ისევ ხამარეში დავრჩენილიყავი...

ღურგალმა ჩერ გადააპურკუა. მერე კი სახე ჩიბუხის ბოლში დამალა. თუმცა ამ სიტყვებმა ცოტა არ იყო. შეაცხუნა. მაინც ისეთი კაცი არ გახლდათ, ადვილად დახნეულიყო.

— რა იცი, რომ კუბო ნაძვისა იყო?

— მეტისმეტად ადვილად დავამსხვრიე.

— ზოგჯერ მუხასაც მოერევა კაცი.

— არა, კუბო რომ მუხისა ყოფილიყო, საფლავიდან ვერ ამოვიდოდი.

— მერე რითი ხარ უკმაყოფილო? პირიქით, მადლობელი უნდა იყო ჩემი, რომ ადვილად დასამტვრევი კუბო შევკარი. იცი, რაზე ვფიქრობ? არასოდეს არ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ადამიანი ნამდვილად მკვდარია.

— ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ შენ გინდოდა იმდენივე ფული აგეძრო ნაძვის ფიცრები, რამდენიც ძვირფასი ჯიშის ხე ღირს.

— ასეთი უსაშველო წუწურაქი რომ არ ყოფილიყავი, ფულიც კი უნდა წაგემატებინა ჩემთვის. გიცნობთ, რა შვილიცა ხარ! განა ჩემი დამსა-

ხურება არ არის, ახლა რომ აქ დგახარ?

შესაძლოა მათი დავა ამით დამთავრებულიყო, რომ სახელისნოს წინ ცნობისმოყვარენი არ შეგროვილიყვნენ. ორივეს მოუნდა თავისი სიმართლის დამტკიცება. უცებ ეჭიატომ ღურგალს ზედ ცხვირთან აუფრიალა ანგარიში და წამოიყვინა:

— რა უფრო უარხია — წუწურაქი იყოს კაცი, თუ თაღლითი?

ეს რომ გაიგონა, მისმა ძველმა ძმაცაღმა ჩიბუხი მოისროლა და მუშტი უთავაზა მუცელში. არც ისე მაგრად და-


ურტყამს. სხვა ალბათ ვერაფერს იგრძნობდა. მაგრამ „ვიწრო ფენსაცემელს“ უცებ თითქოს კინწი მოსწყდა და მოცულილივით დაეცა მიწაზე.

ისევ მოცვიდნენ ექიმი და მღვდელი. ამჯერად მათ რევანში აიღეს. დაიხარნენ, ეჭისტოს სახეს დააცქერდნენ და თქვეს:

— იგი მკვდარია, და საერთოდ მკვდრით არ აღმდგარა, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ხანმოკლე შევებულება, რომელიც ასე უნიათოდ გამოიყენა.

თარგმნა
გურამ ბუნიაშვილი





პანორამა

გრძელდება გარბოს ერთადერთმა შემკვიდრებმა, დისწვილმა გარბა რეინერმა გადაწყვიტა, აუქციონით გაყიდოს სახელგანთქმული კინოსახიობის გვამი.

აუქციონზე მიწვეულნი არიან სხვადასხვა სასაფლაოთა დირექტორები.

ინგლისის პრინცი ჩარლზი ამჟამად წერს სცენარს საბავშვო მულტფილმისათვის. ეს გახლავთ ლიტერატურული ვარიანტი იმ დაუსრულებელი ზღაპრისა, რომელსაც პრინცი ძილის წინ უამბობს თავის შვილებს.

დიდ ვარსკვლავთა პატარა ასირეზები

1. უან-პოლ ბელმონდო არ პასუხობს ტელეფონის ზარს, ვიდრე არ დაამთავრებს დილის ვარჯიშს.
2. ბარბარა სტრეიზანდი არასოდეს გამოდის სახლიდან ისე, რომ არ ჩაიღოს ჩანთაში არა ნაკლებ ათი ცხვირსახოცისა.
3. ფრენკ სინატრამ გადაწყვიტა, წვერი არ გაიპარსოს, ვიდრე არ შესთავაზებენ ხაინტერესო როლს კინოში.
4. კიმ ბესინჯერი უოველდღე იღებს მინერალური წყლის — „ევისის“ აბაზანას, კინოსახიობი ქალის უკეთეს კონტრაქტში მიწინებულთა, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება ამ წყლის იმ რაოდენობით, რაც საჭიროა უოველდღიურად ორჭერადი ბანაობისათვის.

ამერიკელი ქალები ტოლს არ უღებენ მამაკაცებს სროლაშიც. ან ოუკლი ტუვიას არ აცდენს პაერში აგდებულ ათერნტიანს, დარაც უკეთაზე სოცარია, მან ზუსტი გასროლით წვერი წააგლიჯა სიგარას, რომელსაც აუღელვებლად ეწეოდა მისი ქმარი.

„იუმანიტე დიმანშის“ მონაცემებით ფრანგ ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობას მანქანა მიაჩნია კოცინისათვის სახიამოვნო ადგილად; 45%-თვის სამზარეულოა მოსახერხებელი; 82%-თვის ტყე; 22% სამსახურში მოსწონს კოცნობა, დანარჩენების აზრით კი კოცნა ერთობ მოსაწყენი რამაა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ნინო ანანიაშვილი, ფოტო გიორგი ცაგარელისა.

მე-6 ნომერში გამოვეყენებულნი კროსვორდის პანსუხები:

თარგუმად: 5. მარათონი; 7. შუშანიკი; 8. როინაშვილი; 9. აღამი; 11. აინი; 13. კლაქსონი; 15. სტადია; 16. ლევილი; 17. მუნახისი; 21. ნეიტრონი; 23. ბორანი; 24. სპორტი; 25. აღმანაში; 28. სერია; 30. სირია; 31. დიალექტიკა; 32. კლამურა; 33. ავინიონი.

შპეულად: 1. კაშალოტი; 2. ეთერი; 3. ლაქია; 4. მკურნალი; 5. იონჯა; 7. შევრო; 10. „მადურადამი“; 12. კავარადოსი; 13. კამპანია; 14. ილინოისი; 18. ნარი; 19. იაგო; 20. პიტენცია; 22. სტრიქონა; 24. მალტა; 27. ახტრა; 29. აღამი; 30. საუნა.

რედაქციის მისამართი:

880008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგებანი — 88-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მანლა ავტორს არ უბრუნდება.

თარგუმად: 8. დაწერილი ფურცლის ცალი პირი, გვერდი; 9. საქმიანობა; 11. ჯარი, ლაშქარი ძველად; 12. ირლანდიური ეროვნული ცეკვა; 13. სვლის მიმართულება; 14. ფენა; 15. ინგლისელი მწერალი-რომანტიკოსი; 16. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; 19. სის ან ბუჩქის გამონაზარდი, ტოტი; 21. რისამდე საფუძველი; 23. პროვინცია ცენტრალურ ირანში; 24. არქიტექტურული ძეგლი პარიზში; 25. დეკორატიული ბოლქვიანი მცენარე; 28. სინათლის ნაკადის ერთეული ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში; 27. ხალტი-ისპირელი ფინური ტომი; 28. კელტური ტომების სახალხო ჭკოსან-მომღერალი; 30. ჰადრაკის ფიგურა; 32. მჭრელი იარაღის პირის მოპირდაპირე, არამჭრელი მხარე; 35. სიმეტრიული მრავალკუთხედის ფორმის მქონე მუარი სხეული; 36. საფრანგეთის ქალაქი.

შპეულად: 1. ხოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავი მასობრივი მსვლელობა ქუჩაში; 2. ქართველი მეცნიერი; 3. კოპერაციული ორგანიზაცია; 4. ბედი, იბდალი — საუბრისას; 5. კრასნოიარსკის მხარის მდინარე; 6. თავდავიწყებით გატაცება; 7. ფრანგი კომპოზიტორი; 10. მცოხნელი ცხოველი; 17. სიკეთე; 18. წვერილი ფული ევროპის ზოგ კუთვანაში; 20. სასწავლო წლის ნახევარი უმაღლეს ან სპეციალურ საშუალო სასწავლებელში; 22. ქობულეთის რაიონის სოფელი; 23. კინემატოგრაფიის რეჟისორები; 29. მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაეტავენ ან მიუგდებენ წყალს არხში; 31. ხომალდის ზედა გემბანის წინა ნაწილი; 32. წიგნის გარეკანი; 33. კინორეჟისორი, პირველი საბჭოთა ხმოვანი ფილმის დამამგმელი; 34. გარეული კომში.

შეადგინა ციალა აბაშუქაძე.

გადაეცა წარმოებას 25.08.91. ხელმოწერილია დასახელებად 16.08.91. ფორმატი 60x90¹/₈. ფიზიკური ფურცელი 8. საადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 5.89. ტირაჟი 28 800. შეკვეთა 1278. ფასი 70 კპ. საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 880009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.



645/105.

